

გურამ ბათიაშვილი

მოგზაური დასი

(დაბადება, სიყვარული, ქორწილი და
სამშობლოსათვის სიკვდილი ქართველი კაცისა)

(პიესა 2 მოქმედებად ანტრაქტის გარეშე
ქართული ხალხური პოეზიის მოტივებზე).

მოქმედი პირნი:

არწივი	-	
დათვი	-	ბერიკები
სახელარი	-	

დიდბატონი

გზირი

გამგებელი

ნანო — გამგებლის შვილი

ეჯიბი

მდადე

პირველი წყვილი ქალ-ვაჟი — იგივე ეჯიბი და მდადე

მეორე წყვილი ქალ-ვაჟი

მექორწინენი

მოღალატე

სოფელს, ისევე როგორც საქართველოს ბევრ კუთხეში, ციხის კედლები უდგას დარაჯად.

ეს ზოგან უკვე ნაშალი, ზოგან კვლავაც მყარი, კარგად შემონახული კედ-ლები სამყაროსგან გამიჯვნის ნიშანი კი არ არის, თავდაცვის საშუალებაა. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ სოფელი, რომელშიც მოქმედება მომდინარეობს, საქართველოს განაპირა კუთხეშია, ამდენად მისთვის არც მტრის თავდასხმებია მოულოდნელი.

მაგრამ ეს ერთი ხანია სოფელში და მის გარშემო მშვიდობამ დაისადგურა — ადამიანებიც მშვიდობიანი ყოფის ბანგს მისცემიან, თუმც ხანმოთეულთ არც ის ავიწყდებათ, რომ მტერი ახლოსაა და შესაძლოა, სოფელს ყოველ წუთს დაესხას თავს.

ახლა შიშველ სცენაზე ომახიანი ქართული სიმღერა შემოიჭრება — მოგზაური დასი სიმღერით, ცეკვა-თამაშით უახლოვდება სოფელს.

სცენაზე შემოვარდება კომბალმომარჯვებული სოფლის გამგებელი.

გამგებელი. მოდიან, ისევ მოდიან ბერიკები, კვლავაც დამიქცევენ სოფელს, კვლავაც ფუჭი სიტყვებითა და ჭამა-სმით აიკლებენ ხალხსა! (კულისებში გას-ძახის.) ეი, ხალხნო, გზირი, გზირი მოვიდეს აქა, ჩქარა!

გზირი (შემორბის). აქა ვარ, ბატონო, აქა, თუ რამ გასაჭირი მოდის, მივლეწ-მოვლეწავ ყველასა.

გამგებელი. აი, იმათ ხედამ?

გზირი. არა, ვერავისა ვხედამ!

გამგებელი. ბერიკებსა ვერა ხედამ?

გზირი. ვერა!

გამგებელი. არც სიმღერა გესმის მაგათი?

გზირი. სოფლის სიმშვიდის დარღვევის უფლებას არავის მივცემ.

გამგებელი. აი, იმათ — უსაქმურებსა, როგორ ვერა ხედამ!

გზირი (გამგებელს რომ ხმაში წყენა შეატყო). ვითომ რა მოხდება, ისიც მანიშნო, როგორა სჯობია — ვხედამდე, თუ ვერ ვხედამდე?!

გამგებელი. კაცო, ხედამ, თუ ვერა ხედამ, გესმის თუ არ გესმის?

გზირი. ჯერ ის მითხარი: ჩვენ ხომ ერთ საქმეს ვუდგევართ დარაჯად?

გამგებელი (ბრაზმორეული). მაშ, ვერა ხედამ? არც სიმღერა გესმის მაგათი?

გზირი. ვერც რამეს ვხედამ, არც რამ მესმის. აი, ეგრე!

გამგებელი. ბრძა ყოფილხარ და ეგ არის!

გზირი. გაბრაზდი?! მაშ, საჭირო ისა ყოფილა, ვხედამდე და ვხედამ კიდეცა, რას მიქვიან ვერა ვხედამ! აგერ არ არიან?! კარგად მღერიან.

გამგებელი. წინ გადაუდექ, სოფელში არ შემოუშვა!

გზირი. აქშა, აქშა აქედანა! (გამგებელს.) უკვე აქ არ არიან? სოფელში არიან უკვე!

აქშა, აქშა-მეთქი, არ გეყურებათ?

გამგებელი. გაპყარე, ახლავე გაპყარე სოფლიდან!

გზირი (კულისებში გასძახის ხალხს, რომელიც სიხარულით ეგებება მოგზაური დასის წევრებს). აქშაო, აქშაო, რას ელოლი... (გამგებელს.) ელოლი... ელოლია-ვებით! ხო ეგრეა? ხო სწორადა ვთქვი? (კულისებში.) გაპყარეთ, მოაშორეთ, რას ელა... ელაქუცუნებით, ელაქუცებით, მელაქუცებით... გელაქუცებით... მაგ საძაგ-ლებსა (გამგებელს შესცერის. გამგებელმა კი ცივი, ლამის გამყინავი მზერა მიაპყრო).

გამგებელი. შენა ვინა ხარ?

გზირი. რამე დავაკელი?

მაგრამ მოგზაური დასი ისე უცებ შემოიჭრება სცენაზე, გამგებელი პასუხის მიცემასც ვერ ასწრებს – ცხოველთა ნიღბიანი ბერიკები ცეკვა-სიმღერით შემორბიან. ყოველი ამათგანი მისთვის დამახასიათებელი მოძრაობით მოდის: არწივი ისე დაუვლის წრეს, თითქოს დაფრინავსო, დათვს ხელში დაირა უჭირავს და გატაცებით უკრავს, გახარებული სახედარი კი ერთ ადგილას დგას და ყროყინებს.

გზირი. აქშა, აქშა, ოხრებო, თქვენა!

გამგებელი (კომბალს მოიქნევს). აუჰ, სამგლენო!

დათვი. სოფელში დავდით კარდაკარ,

ბერიკაობა ღამია
სუყველგან ასე ვიძახით,
ჩქარა გაგვიღეთ კარია.

არწივი. გუდამ მოიხდის ბერიკა
ცოტა ფქვილ ჩაგვიყარია,
ყველი და ხაჭო ჩაგვიდეთ,
ხორციც მოგვეცით მალია,
ახალგაზრდები ყვირიან:
არაყ ჩაგვისხით, ცხარია!

გამგებელი. აი, თქვე სამგლებო, სოფლის დამაქცევარნო, გაგვეცალეთ, დასტოვეთ ჩვენი სოფელი, ჩქარა, ჩქარა!

გზირი. ხალხს დაგვითეთებენ ეგ უქნარები, ეგენი, აქშა, აქშა!

გამგებელი. კიდევ ხო არაფერს ინებებთ, ბალლინჯოჯაჯუნებო, ყველიო, ხაჭოო, იქნებ, ცხელ-ცხელი თუთმაჯიც მოგართვათ? ჯერ კი ამ კომბალს გაუსინჯეთ გემო! (სამივეს კომბლით ამაოდ დასდევს. ბერიკები ცეკვა-სიმღერით აღწევენ თავს).

სახედარი. გამგებელო, მარტორქავ,
ჯიბეს ხელი გაიკარ,
უზალთუნი ამოიღე,
გადმოუგდე ბერიკას.
ერთ-ორ კვერცხსაც მოახერხებ,
გამოუტან ბერიკას,
გამგებელო, მარტორქავ,
შენ ამ სოფელს
რისთვის ჰყავ!

გამგებელი (ხან ერთს მოუქნევს კომბალს, ხან მეორეს, ხანაც – მესამეს, მაგრამ ამაოდ, ყველა მოხერხებულად იცილებს, ბერიკებს ეს დევნა ცეკვა-თამაშად უჩანთ). გასწით აქედან, დაგვეკარგენით!

გზირი (კომბალით დასდევს ბერიკებს). თქვენ აქ რა გინდათ, მუქთამჭამელებო! (არწივი, დათვი, სახედარი ერთად შეიყრებიან და გამგებელს შეუტევენ.)

სამივენი. ეეე! შევჭამოთ, შევახრამუნოთ! (სამივენი წრეში მოიქცევენ გამგებელს).

გამგებელი (კომბალით იცავს თავს). მომეშველეთ, მომეშველეთ, ხალხნო!

გზირი. ტურა-მგლის კერძად ნუ გახდით ჩვენს გამგებელსა, ქრისტიანნო! (სასტვენს ჩაპერავს.) სამივენი ტუსალნი ხართ, ხელები მაღლა აიშვირეთ, თავები დაბლა დაიშირეთ, შესდექით!

გამგებელი. მიშველე, მიშველე, გზირო!
გზირი (დათვს მოარტყა კომბალი). ეგრე გინდა შენა, ყაჩაღურად რომ ესხმი თავს

—5—

ჩვენს გამგეელსა!

დათვი (გზირს გამოუდგება). უნდა დაგფლითო, უნდა შეგჭამო, შეგახრამუნო.
გამგებელი. მიშველეთ, ხალხნო, მიშველეთ, ლამის თვალები ამომკორტნონ ამ
ოხრიშვილებმა!

დათვი (გზირს კუთხეში მოიმწყვდევს, კომბალს ხელიდან წაჰვლევს). ახლა რა
გიყო? შეგახრამუნო?

გზირი (შიძდარეული). გეხუმრე, გეხუმრე! ეგ ისე, ხუმრობითა, განა მართლა!
(რეჩიტატივით).

დათვო, დათვო, ჩვენო დათვო,
ჩვენო დათუნიაო,
დათვსა ცოლი ავადა ჰყავს,
ჩვენო დათუნიაო,
ქალსა ძუძუ მოუსინჯე,
ჩვენო დათუნიაო,
ქალსა კოჭი გაუსინჯე,
ჩვენო დათუნიაო,
დათვო, ქალი აირჩიე,
ჩვენო დათუნიაო,
რომელიც მოგეწონება,
ჩვენო დათუნიაო,
დათვო, ცოლი ათამაშე,
ჩვენო დათუნიაო,
თუ ეგ ქალი აღარ მოგწონს,
ჩვენო დათუნიაო,
ეგ გაუმვი, სხვა შეირთე,
ჩვენო დათუნიაო.

მეტი რა გითხრა, ბატონო, ბაბაია ხარ ჩემი და ხო უყურებ, არავის და არაფერს არ
გიკავებ.

დათვი. თუ უხმოდ იქნები, არას გერჩი, წადი! (კომბალს უბრუნებს.) თუ ეგ
კომბალი ჩვენზედ მოგიქნევია... რაც დღე დაგადგეს...

გზირი. მუნჯი ვარ და ბრმა! (გარბის).

გამგებელი. საღ მიხვალ, ვისთან მტოვებ!

გზირი. ბაბა, დაუძახე და შეგეშვება, უთხარი ჩემი ბაბაია ხარ-თქო.

გამგებელი. ამათთან მტოვებ? ხომ ამიოხრეს სოფელი! ბერიკებისგან დანდობა როდის
ყოფილა, ყველაფერს წალეკავენ, აგვაოხრებენ.

გზირი. საჩვენოს ყოველთვის მოვნახავთ, როდის ყოფილა, რომ რამე დაგვკლებია!
(ცდილობს კულისებისაკენ გაძვრეს).

ნანო (შემორბის. გამგებელს). მამა, ბერიკებს რას ერჩი?

არწივი (დათვსა და სახედარს). აბა, ჰე, აბა, ჰე, მიხედეთ!

გამგებელი. წადი, ახლავე შინ წადი, ხომ ხედავ, სოფელს ბერიკები შემოესივნენ. ისიც აქ იქნება, ის ვაჟბატონი ამათ შორის უსათუოდ იქნება, ეგ ისეთი უსაქმურია, სოფელ-სოფელ წოწიალის გარდა, სხვა რასა იქმს!

ნანო (ბერიკებს). თავი ანებეთ მამაჩემს, შეეშვით!

გამგებელი. ახლავ შინ წადი, ამათ მე მივხედავ! (ბერიკებს, რომლებიც გზას უღობავენ, კომბლით იგერიებს. ბერიკები კულისებისაკენ მიმავალ გზას უხსნიან. სახედარი და დათვი დაედევნებიან).

არწივი (ნიღაბს მოიხსნის). ქალო, შეჩერდი ერთ წამას!

-6-

ნანო. მომეცალე!

არწივი. შენთან უბნობა და ალერსი მინდა.

ნანო. გამეცალე მეთქი!

არწივი. შენს ნახვაში სული მელევა!

ნანო. ეგ ისევ იმათ უთხარ, ვისოფისაც ათასგზის გითქვამს. დამეხსენ!

არწივი. რად გამირბი, ნანო! მე გული შენთანა მაქვს. შენ კი ბრაზითა მხვდები!

ნანო (გალიზიანებული). გამეცალე, შენა, მართლა არწივი ხომ არა გგონია თავი, მატყუარა და მაცდური ხარ – აქ მოხვალ, სიყვარულს მე მეფიცები, მიდიხარ და...

არწივი. აბა, რას ამბობ, ტყუილია!

ნანო. იმ კვირას ჯვარობაზე, ქოჩორდავარცხნილი ვის ემუსაიფებოდი... ეცეკვე კიდეცა... შენა ნანოი აქ რომ მოხვალ, მაშინ გაგონდება.

არწივი. ნუ, მასე ნუ ამბობ, ჩემო...

ნანო. ე მაგ სოფელ-სოფელ წოწიალსა იმითვინ არ იშლი, რომა...

არწივი. ეს ტკბილ-მწარე წუთისოფელი ხალხს საამოდ მოვაჩვენო, ეგ დიდი მადლია, ნანო, დიდი!

ნანო. არა, ბერიკობა იმითვინ გინდა, აშიკობა ვერ მოიშალე.

არწივი. სიფელნი ჩამავიარე:

ჯვარი და ჯვარისკარიო,
ძალლებსა გადავუქნიე
ჭრელი მათრახის ტარიო,
სარკმელში იხედებოდა
ერთი ლამაზი ქალიო,
ქალო, აღექ და გამამყე,
ნუ გეწუნები ვაჟიო,
შეგისვამ ცხენის გავაზე,
ლურჯას გავაი ბრტყელია,
გზა-უგზოდ გაგარბენინებ,
ვაჟის გუნება ხელია,
გზაზეც ნუ შემიწუხდები,
ნურც იმას მეტყვი – შორია.

ნანო (ბრაზმორეული ცდილობს თავი დააღწიოს, წავიდეს, არწივი კი ყოველ-მხრივ უღობავს გზას). გამიშვი-მეთქი, გეუბნები!

არწივი. არა, არ გაგიშვებ!

ნანო. შენთან ბაასი არა მწადიან, მომეცალე!

არწივი. აღარა მყოფნის მოთმინება, გული დამელია, ჩემთან უნდა იყო (მოხვევას ლამობს.) სულ ერთად უნდა ვიყოთ.

ნანო (ხელს აუკრავს).

სანამ ქალი ვარ, გაჯავრებ,
არას დაგილევ ჯავრსაო,
გზა კვლავაც გადამიღობო,
უმალ შეგიყრი ხალხსაო,
გზის თავზედ შეგიფრინდები,
გზისპირ დაგიგდებ გზასაო,
გადავალ გომეწარშია,
სანთლით ავირჩევ ქმარსაო,
თუ იქაც ვერ ავირჩიე,
ხევსურს გავყვები ყრმასაო,

-7-

გავყვები, ისეთს გავყვები,
დღეთშუა ლესდეს ხმალსაო,
სტუმარ შინ შეუდიოდეს,
აბჯარ ულეწდნენ კარსაო,
ლაშქარს წინ მიუძღვებოდეს,
ჩასწეხდეს შუბის ტარსაო.

თუ აქამდე, ლექსის კითხვისას, სულ მოძრაობდა, ხან რას გადაახტებოდა, ხანაც – რას და არწივმა ვერაფრით ვერ მოიხელთა, ახლა გამარჯვებულის პოზაში დოინჯშემოყრილი, ირონიულად შესცექრის არწივს.

აკი გითხარ, ვერ მოგაროვი: შენ ეგ ბერიკობა იმად გინდა, სხვა ქალებს ჩაუვარდე გულში. ამით იმას ჩამდახი, რომ არაფრად გენალვლი. გამეცალე, გამეცალე-მეთქი, მე შენ არ გიცნობ და არც არასოდეს მცნობიხარ! ფუჭი ხარ და ცრუ!

არწივი (უძრავად დგას, ნანოს გამგმირავ მზერას არ აცილებს). მაშ, შენსას არ იმლი?

ნანო. ვითომ რისთვის უნდა დავიშალო?

არწივი. არადა არ იშლი?

ნანო. მე გეკითხები, რად უნდა დავიშალო-მეთქი.

არწივი. იმადა რომა... (შეყოვნდება.) იმადა რომა...

ნანო. ჰოდა, რად უნდა დავიშალო, არა არ ვიშლი.

არწივი. არცა რა შენა ყოფილხარ,
მსხლის ბურკვო, ხალო ბზისაო
გორზედ მოსულო პიტნაო,
აყროლებულო მზისგანო...

ნინო (ლამის ცრემლი მოადგეს თვალზე). გიგო, მაგას მე მეუბნები?

არწივი. შენა, სწორედ შენა! (აჯავრებს.) თუ იქაც ვერ ავირჩიე, ხევსურს გავყ-ვები, ყრმასაო?! (პაუზა).

ნინო. გიგო, რას ამბობ, გიგო!

არწივი. ყანაში ფარცხად ნაგდებო,
ნათრევო მოზვრებისაო,
გზათშუა ხიდად ნადებო,

ნარომო ქარავნისაო.

ვიდრე ხევსურეთს წახვიდოდე, შემომითვალე, ორიოდ ლექსს კიდევ გაგატან, მზითევში გამოგადგება. ეგრე! გაიხარე? (ნანოს ზურგს აქცევს).

ნანო (ტირის. იქნებ, ელოდება კიდეც არწივი როდის მოხედავს, მაგრამ არწივი არც აპირებს მისკენ მობრუნებას. ნანო ნელ-ნელა ტოვებს სცენას. ცრემლს იწმენდს, ტირილს ვერ იკავებს). მიყვარხარო, სიცოცხლე ხარო ჩემი... ახლა კი ყანაში ფარცხად ნაგდებოო... მატყუარა, ცრუ! მაშ, ეგრე?

არწივი (ნანოსკენ არც შემობრუნებულა). შენ ეგრე არ გინდოდა? (აჯავრებს.) გავყვები, ისეთს გავყვები, დღეთშუა ლესდეს ხმალსაო. გაჰყევი, რაღას ელოდები, გაჰყევი, ჰა, აკი იმას მეუბნებოდი, მიყვარხარო, ქოჩორზე ხელს მისმევდი, რითვინა?

ნანო. არასოდეს, არასოდეს მე შენ არ მყვარებიხარ! (ცრემლის შეკავებას ამაოდ ცდილობს.) არასოდეს... სულ გატყუებდი!

არწივი. არასოდეს?

ნანო. სწორედ ეგრეა!

-8-

არწივი. მაშ, ქოჩორზე ხელს არ მისმევდი?!

ნანო. არა, ეგ ქარი გიშლიდა ქოჩორსა!

არწივი. მაშ, მე ბრიყვი ვარ?

ნანო. ჯიუტი ჯორი ხარ და ვერაფერს ვერ გაიგებ! ვერც ქალის სიყვარულს შეიტყობ.

არწივი. აბა, სიყვარული?! სად არის სიყვარული!

ნანო. აქ იყო და წავიდა, აქ იყო და გაფრინდა. (მიდის).

არწივი. არც ახლა იშლი შენსასა?

ნანო (მიდის). ვიშლი, არ ვიშლი... ვიშლი, არ ვიშლი... კიდეც დავიშალო, ვისთვინა?

არწივი (ნანოს სწრაფი მოძრაობით მოუჭრის გზას). ქალო, შეჩერდი, ერთ წამსა!

ნანო (ცრემლს იშრობს. გზას განაგრძობს). იიჰ!

არწივი. ქალო, შეჩერდი, ერთ წამსა!

ნანო. რა გინდა?!

არწივი. უნდა გამომყვე ცოლადა!

ნანო (არც კი შეჩერდება). არ მინდა!

არწივი (კვლავ მოუჭრის გზას). ჩითის კაბას შეგიკერავ.

ნანო (სახეზე ნათელი მოეფინება). არ მინდა! აიფარე, გიგო, აიფარე ნიღაბი, მამაჩემმა არ დაგინახოს.

არწივი. მეტი აღარ შემიძლია, ნანო, დამადნო შენმა ცქერამა.

ნანო (ნიღაბს თავად ჩამოაცმევს სახეზე). აი, ეგრე! ეგრე სჯობია, შენს ბრაზ-მორეულ სახეს რომ არა ვხედავ, ერთი სიკეთე ეგ არის. თუ მამაჩემმა დაგინახა, ყველაფერი დამთავრდება – ერთ ამბავს ასტეხს, გაგვყრის.

არწივი. მერედა, სანამ ვიყოთ ეგრე, სანამა!

ნანო. დაიფარე-მეთქი, არ დაგინახოს!

არწივი. მე კიდევ იმას გეკითხები, სანამ ვიყოთ მეთქი, ეგრე!

ნანო. ვაჟკაცი შენა ხარ და მე შენს სიტყვას არ გადავალ.

არწივი. მე იმას ვიტყვი, რომა უნდა წაგიყვანო, ჩემი უნდა გახდე!

ნანო (სიხარულმორეული). სულა?!

არწივი. კვნიტა შაქარი ხო არა ხარ, ნაწილ-ნაწილ ჩავიტყბარუნო პირი შენითა. სულა, მააშ!

ნანო. როდის?

არწივი. მალე ჯვარი უნდა დავიწეროთ.

ნანო (მოუთმენლად). როდისლა, როდისლა!

არწივი. იქნებ, დღესვე მოხდეს ეგ ამბავი. ვნახოთ, რას გადაწყვეტენ ზეცას დამსხდარი ვარსკვლავები.

ნანო. იქნება დღესაცაო?

არწივი. ჰო, იქნება დღესვე, რამდენ ხანს უნდა ვიყოთ ეგრე!

ნანო. მამაჩემი? მამაჩემ რა ვუყოთ?

არწივი. მამას ქალის გათხოვება მუდამ უჭირს.

ნანო. არასოდეს ყაბულს არ იქნება, ჩვენი ჯვარისწერა არ უნდა.

არწივი. მაგასაც ვნახავთ! ე მაგ ტურფა თვალებით გაყურებინებ, ქორწილში როგორ იცეკვებს.

შემოგხედავ, ლერწამს გავხარ,
ტანი წვრილად აგეყარა

-9-

ცხრა ნაწნავი გიშრისთმანი

მხარ-ბეჭზე გარდაგეყარა,
ადექ და ჩემთან წამოდი,
შენი ჭირი შამეყარა.

ნანო. ანთებულს სანთელს გამსგავსე
ვარსკვლავსა მთოვიარესა,
ნეტავი, შენთან მყოფნელსა,
შენს მკლავზე მწოლიარესა.

დათვი და სახედარი გამგებელსა და გზირს მოსდევენ. ოთხივენი სცენაზე შემორბიან.

გამგებელი. წადით, წადით მეთქი. გაგვეცალეთ!

დათვი. უნდა შეგჭამოთ, შეგახრამუნოთ!

სახედარი (გზირს წამოეწევა და წიხლს ჩასცხებს). ეგ კომბალი აქეთ მომე, თავგასასიებელო!

გამგებელი (ისე, რომ არ ჩერდება, გარბის, ნანოს). შენ აქ რა გინდა, შინ რად არ წახვედი?!

ნანო. არწივის ფრთებქვეშ თავი სახლში მეგონა.

გამგებელი. შინ წადი-მეთქი, ჩქარა, მაგ არწივს მე დავამსხვრევ ფრთებსა!

დიდბატონი (შემოდის). რა ამბავი გაქვთ აქა! (მყისვე სიჩუმე ჩამოვარდება. ყველა გაირინდება.) რა ამბავი გაქვთ-მეთქი, რა ურიამული აგიტებნიათ, ვის ვეკითხები?

გამგებელი. სოფლის სადარაჯოზე... აი, გზირი და მე სოფლის სადრაჯოზე ვდგევართ, დიდბატონო!

დიდბატონი. რაო, თათარი მოვიდა თუ ლეკი!

გამგებელი. ის, ვინც მოვიდა, განა თათარზე, გინა ლეკზე უკეთესია! ბერიკები სოფელს იკლებენ, პურ-ღვინოსა და სარჩო საბადებელს გვართმევენ, ქალ-ჭაბუკო ურჩობას ჩააგონებენ.

დიდბატონი. ვერ გავიგე, რას ამბობს ეს კაცი. სად თათარი და სად-- ბერიკა! ან თათარი არ გცოდნია ვინ არი, ან -- ბერიკა!

გამგებელი. დანდობა არ იციან-მეთქი, დანდობა. გაუმაძლარნიც არიან!

გზირი. ორივე ერთიაო, დიდბატონო!

დიდბატონი. გამაგებინეთ, ხალხნო, ვინ შემოესია სოფელს -- თათარი, თუ ლეკი?

გამგებელი. ბერიკები, ბერიკები!

დიდბატონი. ბერიკები?! მერე ეგრე რამ აგირიათ გონება!

გამგებელი. ეგნი ხომ მუქთამჭამელნი, მრუშნი და ფუჭადმეტყველნი არიან!

დიდბატონი. ეგ ვინა თქვა?

გამგებელი (უმწეოდ მიმოიხედავს). ქვეყანამ იცის.

დიდბატონი. პირველად ვინა ბრძანა-მეთქი!

გამგებელი (უმწეოდ გზირს მიათითებს). აი, ამისი პაპა ამბობდა.

დიდბატონი. მაგისი პაპა?! ეგ რომელი -- მინდორში მძინარე ბრძენი არისო, რომ ამბობდნენ?

გამგებელი. კოცნა-ლოშნის, ღვინის სმისა და ფუჭსიტყვაობის მეტი არაფერი იციანო, ეგრე ამბობდა.

დიდბატონი. მაცალე, ნუ ჩქარობ. დავალაგოთ... კოცნა-ლოშნა... კარგია... ღვინის სმა...

ცუდი რით არი რო! ფუჭსიტყვაობა... ჰო? ფუჭსიტყვაობა რაღა უნდა იყოს?

გამგებელი. აბა, რა გითხრა -- ეგრე ამბობდა და...

-10-

დიდბატონი. სადლეგრძელო? სადლეგრძელო თუ იციან?

გამგებელი. მარტო დედ-მამის მოსაგონარი ხუთნაირი, ერთიმეორეზე გულშე-ვარდნილი ქალ-ვაჟისა -- ოცდახუთნაირი, ამ ქვეყნიდან წასულებისა -- სამნაირი.

გზირი. ჰე, ბრძენი იყო პაპაჩემი, ბრძენი!

დიდბატონი. რა გინდა, ამ ხალხისაგან, რამდენი კარგი რამ სცოდნიათ!

გამგებელი. რას ამბობ, დიდბატონო! სწორედ ეგ არი ფუჭსიტყვაობა.

დიდბატონი. შენა არც ჭამის მადლი გცოდნია, არც -- სმისა, არც კარგი სიტყ-ვა-პასუხისა და ეგეთი კაცი გამგებელი როგორა ხარ?

გამგებელი. ფერუმარილი?!?

დიდბატონი. რა ფერუმარილი?

გამგებელი. აი, ეგნი ხო იგრიხებიან და იმანჭებიან. თურმე, სხვად რომ მოგაჩვე-ნონ თავი, ფერუმარილზეც კი არ ამბობენ უარსა. ეგრე ამბობდა ი სულმადლიანი.

ნანო. რას ამბობ, მამი, რა ფერუმარილი!

გზირი. პაპაჩემსა იმოდენა ჭკუა ჰქონდა, იმის ჭკუა-გონებას ვინ შესწვდებოდა, აბა, რომელი!

დიდბატონი. ცოდვას ნუ იდებთ, ხალხნო, ვირსა ფერუმარილი რად უნდა, გინა არწივსა!

გზირი. ო, რა კაცი იყო, რა კაცი! ჭკუით სავსე. სუ ამ ჭალაში ხვრინავდა. ო, რას ხვრინავდა -- არრხეინადა, ძლიერადა! ეგ შეცდებოდა?!?

გამგებელი. სოფელსაც ხარკს ადებენ. ეს ყველიო, ეს ღვინოო, ცხარი არაყიც გამოვვიტანეო.

დიდბატონი. მერე?!

გამგებელი. ქალწულთ გონს უბნელებენ -- ტრფიალის გუნებაზედ აყენებენ.

დიდბატონი. ბიჭოს! იქნებ, უბეშიც უყოფენ ხელსა?!

გამგებელი. მაგიტომაც ვდგევარ აქა – ეგნი უბეში ხელის ჩაყოფას როდი ჯერდებიან!

დიდბატონი (დაინტერესებული). პო, პო კიდევა, კიდევ რასა იქმნიან?

გამგებელი. მაგათი წასვლის შემდეგ ქალები სულ გზას გასცერიან.

გზირი. პაპაჩემმა ეგნი ყველაფერი იცოდა, ყველაფერი!

დიდბატონი. მაშ, გამოდის, რომ უკვალოდ არ ეცლებიან წუთისოფელსა. ბიჭოს, რამდენი კარგი რამ სცოდნიათ!

გამგებელი. მე და გზირი მაგიტომაც ვართ აქა! ბერიკები აქედან უნდა გავყაროთ.

დიდბატონი. ფერუმარილიო?! ფერუმარილი რაღად უნდათ!

გზირი. ამ ცისქვეშეთში იმასავით კაცი არ ხვრინავდა არხეინადა, ღონიერადა, და ეგეობი არ ეცოდინებოდა?!

დიდბატონი. ეგ გავიგე, (თითქმის მუქარით.) ახლა რაღა გწადიათ?

გზირი. მეც იქ მეძინა, დიდბატონო, ჭალაში, იქნება სიზმარი რამე ვნახო-მეთქი, მაგრამა ამან დამიძახა და ლამის თვალები ამომკორტნა არწივმა!

დიდბატონი პასუხის მოლოდინში გამგებელს მისჩერებია.

გამგებელი. სადაც ეგნი ბინას დაიღებენ, ის სოფელი სოფლად არ ვარგა.

დიდბატონი. ეგ რატომაო?!

გამგებელი. ორიოდ თვეში ქალებს მუცლები ეზრდებათ, მუავეულს ეტანებიან, ოხრავენ, სოფელში პურიც რწყება და ღვინოც, ყველიც და კაკალიც...

გზირი. ეგ რომ ხვრინვას დაიწყებდა, სოფლიპირად რო ლეკი მდგარიყო, გარბოდა.

დიდბატონი. ახლა რა გწადიათ? განა არ იცით, რომ...

გზირი (წინ წახტება). აი, მე კი ვიცოდი, დიდბატონო... ვიცოდი და მაგიტომაც

-11-

ჭალაში მამა-პაპურად მეძინა, ვხვრინავდი, მაგრამ პაპაჩემივით მე ვინ მახვრინებს...

დიდბატონი (განაგრძობს დაწყებულ ფრაზას). რომ მაგათ სოფელში სიკეთე და სიყვარული მოაქვთ?

გამგებელი. არა, ბატონო!

დიდბატონი. არც ის იცით, რომ ეგნი მე ვიხმე. საცაა მეშვიდე შვილი უნდა გამიჩნდეს. ექვსი გოგოს მერე მეშვიდე შვილს ველოდები. თუ ქალი იქნა, თუ ისევ ქალი იქნა, ოჟო, პო პო... რა მეხთატეხა ატყდება. აი, პო პო, რამდე-ნი ქალ-კაცი გაიროზება.

გზირი. ეგეც იცოდა პაპაჩემმა, ეგეც უნახავს ძილშია: თუ დიდბატონის დედაკაცი ქალსა შობს, მა ვინ უნდა გაიროზებოს, თუ არა მთელი სოფელი, ვისი ბრალი უნდა იყოს ეგ ამბავი? სოფლისა, მააშ!

დიდბატონი. მაგრამა... მაგრამა... თუ ბიჭი იქნა... თქვენს ბედს ძალლიც კი ვერ დაჰყევთს. აი, მაგისთვის ვიხმე ეგნი. მთელმა სოფელმა უნდა იმხიარულოს. (სახედარი სიხარულით აყროყინდება, დათვი აბაჯბაჯდება.) ბიჭს ველოდები, ბიჭსა!

არწივი. ღმერთო, ღმერთო, რა იქნება ერთი შიბაქი, შიბაქი, თორემ ყველაფერი ჩაგვეშლება!

დიდბატონი (გამგებელს). იმისთვინ, რომ შენ არ იცოდი ის, რაც უნდა გცოდნოდა, სამი პირამდე სავეს ყანწი!

გამგებელი. ფუჭისიტყვაობითა, თუ უხმოდა?

დიდბატონი. არა, შენი ხმის ამოღება როგორ იქნება!

გამგებელი. შენ აგაშენა ღმერთმა, დიდბატონო, თორემა მე მეგონა, ბერიკებსავით ფუჭისიტყვაობა უნდა დამეწყო..

დიდბატონი. ფუჭსიტყვაობა სწორედ ეგ არი. გზირო, შეუვსე!
გზირი. ახლავ, ბატონო, ახლავ! (გამგებელს.) რად დამიძახე, შენ თავად იცი, ჭალას
მამა-პაპურად მეძინა, ისე ვერა ვხვრინავდი, როგორც პაპაჩემს ჩვეოდა, მაგრამ...

დიდბატონი (აწყვეტინებს). დაიცა! (გამგებელს). ამ დილა პური სჭამე?

გამგებელი. არა, ბატონო. უხემსო ვარ.

დიდბატონი. კარგია! ჯერაც ვერ გაიგეს, რა უფრო მბიმეა — სამი ყანწი უზმოზე,
თუ პაპანაქება სიცხეში ნასაღილევს სქელუა მართასთან ჩახუტება. შაუვსე, გზირო,
შაუვსე! ნუ აყოვნებ, შაუვსე უცოდინარსა!

გზირი დიდ ყანწის ავსებს. გამგებელი უხმოდ სვამს. გზირი კვლავ ავსებს,
გამგებელი სვამს. სოფელს თოფის ხმა გააყრუებს.

პირველ გასროლას მეორე მოჰყვება, მეორეს — მესამე.

ნანო. დიდბატონო, სამახარობლო, ბიჭია, ბიჭი!

დიდბატონი. შესწყვიტეთ!

გამგებელი. გადავრჩით, გადავრჩით — სოფელი გადარჩა, ხალხნო!

არწივი ფრთებგაშლილი იწყებს ცეკვას, სახედარი გამგებელს გადახვევს ხელს
და ადგილზე ხტიან, ცეკვავენ. დათვი ბაჯბაჯებს. იწყება მხიარულება: სცენაზე
მყოფი ყოველი ადამიანი თავისებურად გამოხატავს სიხარულს ბიჭის დაბადების
გამო. ქალ-ვაჟნი კი ფანდურით:

12.

ვაჟი. მოუსვი, მოუცურდება,
კალმახი ორაგულზედა.
მადლია, ქალო, ლამაზო,
შენი გორვება გულზედა.

ქალი. ვაჟკაცსა სხვის ცოლთან წოლა
ჰგონავ კარგი ნამუსია,
ეშმაკისა მუშა ხდება,
სთესავს სხვისა მამულშია

შეძახილები:

— ეგრე უნდა!
— მიდი, მიდი!
— მაინც ისა სჯობს, გაუგორდე!
— მერე არ ინანო!

ვაჟი. ეს ჩვენებური ქალები
ქარივით ჩამოჰქრიანო,
გაგვიზდებიან ბატონად,
სახლსაც არ დაგვიგვიანო,
თითო ყმაწვილს გაგვიჩენენ,
ბუზღუნით გაგვიზრდიანო.

ქალი. თხას უთხრეს: მგელი მამკვდარა,
თხამ ნავარდი ჰქნა, გაიქცა,

„თხაო, ნუ გაგხარებია,
განა სამგლეთი დაიქცა.
იმას რო დარჩა ლეკვები,
ისინიც მგლებად მაიქცა“.

შეძახილები:

- არ დანებდე!
- ეგრე უნდათ მაგათა!
- გაუღიმე, ქალო, გაუღიმე!

ვაჟი. ქალაუ, შენ რომ ქმარი გყავ,
მე ხისას გავთლი მისთასა.

ქალი. მაგრამ ცოლს როგორ წაართომ
კაცური კაცი მოყვასსა.

ვაჟი. თვალები დედალ ქორს გიგავს
შენი ლეჩაქი დამხურე
მე შენთან მწოლიარესა!

ქალი. (თითქმის ზიზღით).
შავი ხარ, შავსა ცხენს ზიხარ,
შავი თოქალთო გიგია.
კუპრის პერანგი გაცვია,
ზედ ნავთის ღილი გიგია.

გამგებელი. მღვდელი, მღვდელი გვინდა!

შეძახილები. სად არის მღვდელი! მღვდელი! მღვდელი მოიყვანეთ!

არწივი (დათვს). ახლა კი შენ იცი, შენი ჯერი დგება.

დათვი. დარდი ნუ გაქვს!

გამგებელი. გზირო, მღვდელი ჩქარა!

13.

დათვი. წუხელ შაშუანთ ნიკუასას ჭერის ახდას პურობდნენ. იმდენი სვა და ეჭეი, დაჰკათ, დაჰკათო, იმახა, დღეს ვაი, დედაო, კვნესის. ეგ კიდევ სამ დღეს ვერ დადგება ფეხზე!

მწითური კაცი (ანაფორა გადაუცვამს, გალობა-სიმღერით შემოდის). აქა ვარ მსახური ღვთისა პავლე. კეთილი ჰქნას და აკურთხოს დამბადებელმა დაბადება მონისა ღვთისა... სახელი, სახელი მაჩუქეთ ახლადქმნილისა!

დიდბატონი. შენ ვინა ხარ?

გამგებელი. ე, რა მწითურია კაცო, ქართველი ხარ?

მწითური. ფურ ეშმაკს, ფურ ეშმაკს... მა ვინ უნდა ვიყო...

არწივი. მღვდელია, დიდბატონო, სოფელ დიდწყალიდან მოგვდევს, შენი სიხა-რულის გასაზიარებლადა.

დათვი. მღვდელია და მერე როგორი, საცა გინდა იქ ილოცებს!

მწითური. სახელი, სახელი ყრმისა?

დიდბატონი. გიორგი, მამაო, მიწის მადლი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა!

მღვდელი (წამღერებით). აკურთხოს და კეთილჰყოს დამბადებელმა დაბადება მონისა ღვთისა... ამიინ! იყოს სახელი მისი გიორგი – სახელი ძლევამოსილისა – ურჩხულის გამგმირავისა! იბრწყინე, საქართველოვ, იბრწყინე, შვილთა შენთა შემწეობით, ამიიინ!

სცენის სიღრმიდან ქალს ხელში ატატებული ბავშვი მოჰყავს და იავნანას უმღერის.

იავ, ნანა, ვარდო ნანა, იავნანინაო,
დაიძინე გენაცვალე, იავ ნანინაო,
ჯერ არ გათენებულაო, იავ ნანინაო,
ვარსკვლავები ამოსულა, იავ ნანინაო,
მთვარე შეშინებულაო, იავ ნანინაო,
მანანოები მოდიან, იავ ნანინაო,
ძილი მოაქვთ გუდითაო, იავ ნანინაო,
ამას ჩემს ყმაწვილს მიგუტან, იავ ნანინაო,
თვალებს გავუვსებ ძილითა, იავ ნანინაო,

დიდბატონი. საქვეყნოდ გამომიცხადებია წყალობა დიდბატონისა ვაჟიანობის გამო: ყოველ კომლს ჩამოურიგეთ თითო კოდი პური, ასევე კაკალი და თაფლი. ამ თვეში ყველა დასაქორწინებული დაქორწინდეს დიდბატონის პურ-ლვინითა, ყველა ნათლობა ამ თვისა იქნას ასევე დიდბატონის პურ-ლვინითა, იშორეთ ურვა და ოხვრა, ამრავლეთ ლხინი, არ იყოს ერთიმეორის ძაგება, გინება, ქიშპი, დედის აუგად მოხსენიება. ყოველ სუფრაზე შეისვას სადლეგრძელო გიორგისა, ძისა დიდბატონისა, ურჩხულის გამგმირავის სეხნისა.

შეძახილები: გვიცოცხლოს დიდბატონი!

დიდბატონი. გიორგი, გიორგი გვიცოცხლოს!

შეძახილები: – ლმერთმა გაგიზარდოს!

– ბატონი არის ჩვენი გამხარებელი!

– გიორგი გიცოცხლოს მაცოცხლებელმა!

– მაგის ქორწილი! ქორწილი!

დიდბატონი. აი, ბერიკებმა კი თავად უნდა მითხრან, რაცა სწადიათ, რა გაახარებს მაგათ გულებსა!

შეძახილები: შენი სიცოცხლე! გიორგის გაზრდა-დავაჟკაცება!

14.

დიდბატონი. ეგ ჩვენც გვახარებს.

სახედარი. ერთად გვახაროს ლმერთმა!

დათვი. შენის წყალობითა!

დიდბატონი. რაგვარისა გწადიათ იყოს ეგ წყალობა.

დათვი. ჩვენი წყალობა ის არის, რომ დიდბატონს ბიჭი გაუჩნდა, სურვილი ისა, რომ ე მაგ ბიჭმა დიდხანს იცოცხლოს, ოცნება კი ისა, რომ მაგისი ქორწილი ყველამ ვნახოთ.

სახედარი. ჩვენ აქ ბევრი თამაშობა გაგვიმართავს. დღეს კი შენის შემწეობით მთავარი უნდა გავმართოთ.

დიდბატონი. მთავარი თამაშობა რაღა არის?

დათვი. ის, რაც ბედნიერს პყოფს ყმაწვილ გიორგის, თქვენს ოჯახს – გიორგის ქორწილი! დღეს გიორგის ქორწილი უნდა ვითამაშოთ!

სახედარი. თუ შენს გულსაც ეამება და ყაბულს იქნები!

დიდბატონი (სახეგაბრწყინებული). ქორწილი? გიორგის ქორწილი?!

დათვი. ოჯახში რო ბიჭი გაჩნდება, დაბადებიდან ქორწილზე ოცნებობენ, ქორწილიდან ძეობაზე, ძეობიდან ქალაუზე...

დიდბატონი. ქორწილი კარგია. ქორწილი, ბერიკები ქორწილს თამაშობენ! დაწყეთ, ცქერად ვართ!

დათვი. ნეფედ ისეთი ბიჭი მოგვიყვანია (არწივზე აჩვენებს.) თვით მეფენიც ვერ მოუნახავენ წუნსა, მაგრამა...

დიდბატონი. რა მაგრამა, გიორგის ქორწილს წინ რა უნდა დაუდგეს!

დათვი. საპატარძლო არა გვყავს დასში, პატარძალი არ მოგვიყვანია, აბა, ბერიკებს პატარძალი საიდან!

დიდბატონი (იხტიბარგატეხილი). პატარძალი არა გყავთ? აბა, ეგ რა ქორწილია, უპატარძლო ქორწილი ვის უნახავს!

სახედარი. იქნებ, თქვენს სოფელში ვინათხოვროთ, მოგვეცით ერთი ქალი!

დათვი. მოგვეცით ერთი ქალი ამ ბიჭისთვის, დიდბატონო!

დიდბატონი. ქალის მეტი რა გვყავს სოფელში! ეგენი ისე ცქვიტები არიან, ლამის შარვალზე წაგატანონ ხელი და პატარძლობაზე უარი რად უნდა თქვან?

გამგებელი. პატარძალი გობი ხო არ არი, ინათხოვრო, ქალია.

დიდბატონი. ეგე, რამდენი გოგო დგას, მიდით და რომელიც გნებავდეთ, ამოირჩიეთ.

დათვი. ბერიკები უბრალო ხალხი ვართ, დიდბატონო, ვინც პირველი მოგვხვდება, იმას ვინათხოვრებთ. (ნანოს გამოიყვანს.) აი, ეს რო იყოს, რა მოხდება?!

დიდბატონი. არც არაფერი არ იქნება!

დათვი. მაში, დიდბატონი თანახმაა?!

დიდბატონი. ქორწილზე უარს რად უნდა ვიყვე!

დათვი. ჰოდა, ეგრე! ხალხო, ახლა ნახამთ ჩვენებურ ნამდვილ ქორწილსა!

გამგებელი. რა ქორწილი, რის ქორწილი, თქვენ რაებს ლაპარაკობთ აქა!

დათვი. რაო?

გამგებელი. მიშველე, დიდბატონო, ნუ იქნები ყაბულსა!

დიდბატონი. ასეთი რა მოხდა?

გამგებელი. ეგ ქორწილი არ უნდა იყოს!

დიდბატონი. რატომ, რისთვის, გამაგებინე!

დათვი. ცუდს ხო არაფერს ვაპირებთ.

გამგებელი (დიდბატონს). რა დროს ამის გათხოვებაა. შეხედე, ჯერაც ბალლია.

დიდბატონი. დამაცა! (წამოდგება.) ვაი, წელი! (ნანოს წრეში გამოიყვანს, ირგვლივ შემოუვლის, თეძოებზე, მკერდზე დაუინებით აცქერდება. ნდომის სურვი-ლით.) აბა,

15.

შენ არაფერი გცოდნია ამ ქვეყნისა! არც ქალისა გცოდნია რამე! იფ, იფ, იფ... რას ამბობ, ვეუო, ცოდოს რად იდებ! უპ, უპ, უპ! როგორ დამწიფებულა, თუ დროზე არ მოსწყვიტე... ცოდოა, ღვთის მადლმა ცოდოა!

გამგებელი. ჯერაც ბალლია, დიდბატონო!

დიდბატონი. აკი გითხარი, არაფერი არ გცოდნია-მეთქი! (ნანოს.) ადრეა, გოგო? ჯერაც ბალლი ხარ?! არ გინდა? ჲა, ამოიღე ხმა (პაუზა.) ხმას არ იღებს, მინდაო, რატომაც არ მინდაო, გვეუბნება.

გამგებელი. რას ამბობ, დიდბატონო, მაგის ჯერი ჯერ არ დამდგარა!!

დიდბატონი. მესამედ გეუბნები. მაგ საქმისა არაფერი გცოდნია-მეთქი. სწორედ ახლაა წამალი! ვნებამ ტანში დამიარა და გამაურჯოლა. აჲ, აჲ-აჲ! აი, დედასა!

გამგებელი. მე ქალს არ ვათხოვებ, ნუ მიზამ ამ საქმეს, დიდბატონო!

დიდბატონი. ეგა შენი ქალია?!

გამგებელი. სხვისი რო იყოს, რა მრჯის!

დიდბატონი (მრავალმნიშვნელოვნად). ჰოო... თუ ეგრეა... (დათვს.) აბა, რა გიყო! არ ათხოვებს ქალსა.

გამგებელი (გათამამებული დიდბატონის მხარდაჭერით). ეგრეა, ეგრე!

დათვი. მაშ, ქორწილი არ გინდათ?

დიდბატონი. ძალიანაც გვინდა, მაგრამ... თუ მამა ყაბულს არ იქნა... მე რა... მე დიდბატონი ვარ, განა მოძალადე.., მამამისი... ჩემი ვალი ამათი პატრონობაა, განა სხვა რამ...

დათვი. ეგ ზომ თამაშია, დიდბატონო, თამაში!

დიდბატონი. ზო, თამაში, მერე?

სახედარი. ქორწილის თამაში... ჩვენა ვთამაშობთ...

გამგებელი. ვიცი მე თქვენი თამაში... თამაშ-თამაშით ანგრევთ ქვეყანას!

დიდბატონი. რა გინდა, გამგებელო, რას ერჩი ამ ხალხსა, თამაშობენ და ათამაშე.

გამგებელი. კაცი რო ფერ-უმარილს წაისმევს სახეზე, მე იმ კაცს ვერ ვენდობი. მაგათ ჩვენი გაბრიყვება სწადიათ. თამაშიო, რომ იძახიან! აბა, ცხოვრება რა არი, ცხოვრებაც თამაშია, მაგ თამაშით ჩვენი გაცუცურაკება სწადიათ,!

დიდბატონი. ეგ ვინ გითხრა, ვინ გიბრძანა, რომ ცხოვრება თამაშია! ტანჯვაა ეს ცხოვრება, აბა, აიღე ამხელა ყანწი და დასცალე. ეს არის თამაში? ზო ნახე, დევივით მღვდელიც კი წაუქცევია! აბა, გაუმელ მუხრანელის სიმღერებს მესამე ყანწის მერე! მაგას ეძახი თამაშსა! წელკავის გაძლება?! ვაი, წელი! (წელში ვეღარ იძართება.) მიშველეთ, ხალხო, ეგ ბრიყვი კი გაიძახის, ცხოვრება თამა-შიაო.

არწივი. ახლავე, ახლავე (დიდბატონს ექსტრასენსის უესტიკულაციით უახლოვ-დება.) აბა, დიდბატონო, აბა! გაგითბა?

დიდბატონი. რა ვიცი. აბა, რა ვიცი... დამაცა, დამაცა!.. აი, გათბა! გათბა კი არა, გახურდა (გახარებული.) გახურდა, არწივო, გახურდა!

არწივი. აბა, წელში გაიმართე!

დიდბატონი (წელში გასწორდება). ე, რა ჯადო გქონია ზელებში! ვინ ამბობს ამათ სოფლის გაცუცურაკება უნდათო, არ არის ეგრე! თუ სიმართლე გინდათ, თამაშში არი ცხოვრება! ეგრე სწერია დიდ წიგნებში!

არწივი. გესმის, გამგებელო, თამაშში არისო ცხოვრება, ეგრე ნაწერება დიდ წიგნებში, ქორწილის გათამაშებას კი გვიშლი.

დათვი. ცხოვრება კი არ არის თამაში, თამაშში არი ცხოვრება. ჰოდა, ვითამაშოთ, დიდბატონო, გავამხიარულოთ პაწია გიორგის ოჯახი, ვითომ ქორწილი გვაქვს, ვითომა, განა მართლა!

16.

გამგებელი. ვითომა? (ჩაფიქრდება.) რა ვქნა, მამკალით დ ავერ ვნდობ კაცსა ფერ-უმარილის წამსმელსა. თავად იცვლის თავის თავსა და შენ არ გაგცვლის რამეზედა, ან ვინმეზედა?

დიდბატონი (წელზე მოისვამს ზელს). მაგ ბიჭმა მე რა მიყო და პატარძალს როგორ აამებს, ჰა!

სახედარი. თამაში, გამგებელო, თამაში! ვითამაშოთ!

დიდბატონი (გამგებელს). ვიდრე შენ არ იტყვი, ქორწილი არ იქნება, მამა ყოფილხარ!

გამგებელი. არ ვიცი, არ ვიცი, რა ვთქვა! (დათვს.) ქორწილი თუ თამაშა-ქორწილი?

დათვი. ჩვენ ბერიკები ქორწილს ვშვრებით.

გამგებელი. ბერიკები?

დათვი. ჰო.

გამგებელი. ქორწილსა?

დათვი. ეგრეა.

გამგებელი. და როგორია ეგ ქორწილი – თამაშა თუ ნამდვილი?

დიდბატონი. შენ იმდენ კითხვას იძლევი, ვხედავ, არცთუ ძლიერ გახარებს გიორგის დაბადება.

გამგებელი. ქორწილი თუ ვითომ ქორწილი?

სახედარი. ისინი იქორწინებენ, ჩვენ ვითამაშებთ.

დიდბატონი. არა, შენ გიორგის დაბადება არ გიხარია და იმიტომ აწვრილებ გულსა (კატეგორიულად.) ქორწილი, ქორწილი-მეთქი!

გამგებელი. დიდბატონო, რას მიშვრები!

დათვი. თამაში გვაქვს გამგებელო, თამაში!

დიდბატონი. ჰო, თამაშია, კაცო, თამაში, რით ვერ გაიგე, ვთამაშობთ.

დათვი. ყველანი ვთამაშობთ, ხალხნო, ყველანი! ზოგი მეფეა, ზოგი – დედოფალი, ზოგი ეჯიბი, ზოგი მდადე, ზოგიც – მაყარი.

დიდბატონი. მიდი, მიდი, შენ დაუკა, ქორწილი გვაქვს!

ცეკვა-ცეკვით შემოდიან მაყრიონის მომლოდინე ახალგაზრდები. ვიდრე სოფელში მაყარი შემოდგამდეს ფეხს და დაიძახებდეს სიძე მოდისო, ახალგაზ-რდები ერთობიან – მღერიან, ცეკვავენ, ერთმანეთს ელექსებიან. ქორწილი, ჯვა-რისწერა არა მხოლოდ რიტუალია, ერთმანეთის გაცნობის, დაახლოების საშუალებაც; ე.ი. სვალინდელი ქორწილების განმაპირობებელი. აი, ყმაწვილი კაცი გოგონას უღობავს გზას.

ვაჟი. იავ და ვარდო, ლამაზო,
შენა ხარ მზე და მთვარეო,
გამსგავსე შუქურ-ვარსკვლავსა,
ზეცის გააღე კარია.
კარზედ დაგეგო ლოგინი,
გარს გეგო გალავანია.
ყურში გიყრია საყურე,
გიურიალებდეს ქარია,
თავზედ გებუროს ლეჩაქი,
გიფრიალებდეს ქარია.

ქალი (თითქმის მორცხვად, ხმადაბლა, ლამის ჩურჩულით იწყებს).
ვერცხლის თასადამც მაქცია,

რო ღვინით აგევსებოდი
დაფერილი მქნა წითლადა,
შამსგამდი – შაგერგებოდი
ანა მქნა ვერცხლის სათითე,
რო ხელზე ჩავედებოდი,
ან შენი ნამგლის ყანა მქნა,

რო ფეხზე შაგერჭებოდი!
ანა მქნა ვარდი, ყოილი,
რო პირზე დაგეყრებოდი
ანა მქნა მოვის პერანგი,
რო გულზე დაგედებოდი.

ღობის პირას ჩამოსხდებიან და კულისების სიღრმიდან მომავალ ქალ-ვაჟს შესცემიან.

ვაჟი. ნახე, ესენი ისევ ჩხუბობენ.
ქალი. მიჯნურთ უბრობა ბრიყვს ჰგონია ჩხუბი.

კულისების სიღრმიდან მომავალი ქალი თითქმის ზიზღით შესცემის ვაჟს და გაცლასაც კი ლამობს.

ვაჟი. დრო ისა სჯობდა, ქალაო,
შენთან რო ძილით ვძლებოდი,
მეორეთ მამლის ყივილზე
ავდგე და გაგიფრინდოდი
ვწყევლიდით მამლის ყივილსა,
ღამევ, ნუ გაგვითენდოდი.

ქალი (შედგება. ვაჟს ზიზღით ჩასცემის თვალებში. მკაცრი, გაფრთხილების ინტონაციით).
ნუღარ გაივლი ჩემს მხარეს,
თუნდაც ჭირითაც ვკვდებოდე,
აღარც მე გნახო მოყმეო,
თუნდ შენი ნდომით ვკვდებოდე.

ადრინდელი წყვილის ქალი სცენაზე გამორბის.

ქალი. ბიჭო, ბრიყვო, ხელს ნუ მახლებ,
თორემ დედა გაჯავრდება.

ვაჟი (მოსდევს). სანამ დედა გაიგებდეს,
ჩვენი საქმე გაჩაღდება.

წინა წყვილი.

ქალი. არ მინდა, არ მინდა, არ წამოგყვები,
თევზად ვიქცევი, ზღვას მივერთმევი.

ვაჟი. მაშინ მე ბადეთ გადავიქცევი,
დაგიჭერ, მაინც ჩემი იქნები.

ქალი. არ მინდა, ბიჭო, არ წამოგყვები,
ვაშლად ვიქცევი, ხეს მივებმევი.
ვაჟი. მაშინ ხო ისევ კაცად ვიქცევი,

- ქალი. მოგწყვეტ და მაინც ჩემი იქნები.
არ მინდა, არ მინდა, არ წამოგყვები,
სირმად ვიქცევი, ხეს ავენვევი.
- ვაჟი. მაშინ მე იმ ღროს ხედ გადვიქცევი,
მომენვევი და ჩემი იქნები.
- ქალი. არ მინდა, ბიჭო, არ წამოგყვები,
ჩიტად ვიქცევი, ცას გავეკვრები.
- ვაჟი. მაშინ მე ქორად გადავიქცევი
დაგიჭერ, მაინც ჩემი იქნები.
- ქალი. არ მინდა, არ მინდა, არ წამოგყვები,
შეშად ვიქცევი, ცეცხლს დავედები.
- ვაჟი. მაშინ მე ცეცხლად გადავიქცევი,
დაგწვავ, დაგდაგავ, ჩემი იქნები.
- ქალი. არ მინდა, ბიჭო, არ წამოგყვები,
ჯოჯოხეთშიდაც დაგემალები.
- ვაჟი. მაშინ კაცს მოვკლავ, ცოდვას დავიდებ
და ჯოჯოხეთშიც ჩემი იქნები.
- ქალი.** (ვაჟს მინებდება, ჩაეკვრება). ე რა ჯიუტი ყოფილხარ, ბიჭო, ჰა!
ვაჟი. შენმა ტრფობამ მაქცია ეგეთად.
- ქალი.** არ მიღალატებ?
- ვაჟი.** არასოდეს. კუბოს კარამდე შენი ერთგული ვიქნები.
- ქალი.** მაშ, გამოაგზავნე ხალხი მამაჩემთან, ჩემი გული შენ გეკუთვნის.
წყვილთაგან ერთ-ერთი. მოდით, ერთადა, ყველა ერთადა!

წყვილები ერთ წრედ შეიკვრებიან, ფანდურზე მღერიან.

- ქალი. აქ მოდი, მანდ რასა იქმი,
მარტო რას აქნევ ძილსაო.
გაჩვენებ ბროლისა მკერდსა,
გაგახსნევინებ ღილსაო.
- ვაჟი. ყამარის ქალო, თამარო,
გიდგა ნემსივით კბილები,
მე შენთან ალარ დაგწვები,
ჩამისხი ბევრი ტილები.
- გამხდარი.** წუხელია, სიზმარშია ბაბილოს ქვეშა მეძინა,
ქვეშ მეგო კარგი ორხოა, ზედა ღრუბელი მეხურა
გვერდ ლამაზი ქალი მეწვა, მკლავი-მკლავ გადამენვია,
წითელ ქურანზე ზედ ვიჯექ, ლურჯა მარქაფად მეჭირა,
ნახტომი შველი მამეკლა, ტახტაზე ჩამომეკიდა.
- ქალი. ნუ სტყუი, ბიჭო, ნუ სტყუი,
საღორის კარსა გეძინა,
ქვეშ გეგო ჩალა-ჩულანი,
ზედ ნაბდის ფოჩვი გეხურა
გვერდ გეწვა ნაგაზი ძაღლი,

მკლავი-მკლავ გადაგეხვია
წითელ ტურაზედ იჯექი,
მელა მარქაფად გეჭირა,
ნახტომი კურ მეგეპლა,
კარებზე ჩამოგეპიდა.

სხვა წყვილი.

- ქალი. თავი ნუ გამოგიდვია,
ნიახურის ფოჩივითა,
მუცელი გაგსიებია
გაზაფხულის გოჭივითა.
ვაჟი. შენ ნათლიდედა კატოსა,
მუცელ მიუგავს ფლატოსა,
ისე მიიქნევ-მოიქნევს,
როგორც საცერი ქატოსა,
მე კარგა გავაქნევინებ,
თუ მოვასწარი მარტოსა.

სწორედ ამ დროს ატყდება ერთი ზმაური, თოფის სროლა, შეძანილები.

- მოდიან, მოდიან!
- სიძე მოდის, სიძე მოდის!
- აბა, სიძევ, შენ იცი!

მაყრიონთან ერთად შემოდის სასიძო — არწივი. ისმის „მაყრული“.

არწივი. შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი!

დიდბატონი (გამგებელს). ჰე, აბა, ჰე, ნუ აყოვნებ, მიეგებე, სიძე მობრძანდა, მიეგებე!
გამგებელი (მიეგებება). მობრძანდი, სიძევ ბატონო, მობრძანდი, ბედნიერი იყოს შენი ფეხი!

ეჯიბი. აბა, დავაჩქაროთ ჯვარისწერა და ჩვენს მტრედებს მივცეთ თავისუფლება.

მდადე. ნუ ვიჩქარებთ, ჯერ ლხინი ვქნათ, დღეიდან სულ ერთად იქნებიან!

ეჯიბი. მდადე?! მდადეს მივესალმები ოცდაათი ცხენოსნით!

ჰოი, მდადეო, მდადეო,
თევზს გადავუგდე ბადეო,
ეს ჩემი საწყალი თავი
შენს ძუძუებში ჩასდეო!

მდადე. ისეთი მამის ძმანი მყავს,
მთას ქორებულად ჰქრიანო,
ვაჟასა შენისთანასა,
წელზეით ზმალსა ზსნიანო,
სწადიან — დაატყვევებენ,
სწადიან — დაიხსნიან!

დიდბატონი. ჰე, ქორწილი, ქორწილი! აბა, იწყება, ქორწილი იწყება!

ეჯიბი. დედუფლისა მდადიანო,

შენთან წოლა მწადიანო,
შენს დაგებულ ლოგინზედა,
თამაშობა მწადიანო.

ყმაწვილი (ყანწით ხელში).

შემახედენით, ქალებო,
წითელ-ყვითელა ვყუდივარ,
წამოსული ვარ მაყრადა,
ქალისად ქათმის ქურდი ვარ.

ეჯიბი. კეთილი იყოს! დავწეროთ ჯვარი ამ მტრედებს დიდი გზა გვაქვს წინ. ქალი მოგვყავს ლამაზიო, დაგვიცალეთ დარბაზიო!

გამგებელი. რას ამბობ, სტუმარო! ოჯახი მაქვს და ჭერი მხურავს. ღვინოც მაქვს და პურიც; ნუ დამილიოს ღმერთმა. მაგით ვარ, თუ ვარ მტრისა და მოყვრისა.

სახედარი. გამყოფოს ღმერთმა, მაგრამ ჯვარისწერა მაინც არ დავაგვიანოთ, ხო იცი, როგორ ენატრებათ ერთმანეთი!

ეჯიბი. აბა, ყანწი, აბა, ცეკვა, რა მასლაათი გამიმართეთ, საქმე, საქმე! (ეჯიბს ყანწს მოართმევენ, შეუვსებენ.) სიძე მოვიდა ოჯახში, სიძე! აბა, იხარე ჭერო, მოკვდი მეტრო! ასე მტერი დაგეცალოთ ყველას!

სვამს და იწყებს ცეკვას. ცეკვაში მდადეს გამოიწვევს. ეს ცეკვა შეჯიბრს უფრო ჰგავს. სხვანიც ებმებიან ცეკვაში. ქალ-ვაჟნი დაუოკებლად ეცეკვებიან ერთიმეორეს.

არწივი (სახედარს გადაულაპარაკებს). ცეკვა-სიმთერა დილამდე იქნება!

დათვი. ჰო, შევუდეთ საქმესა, უცებ ვქნათ, უცება, გონს არ მოვიდეს.

სახედარი. ახლავე, ახლავე! (დიდბატონს, მოცეკვავე ყმაწვილებს გატაცებით რომ უყურებს.) ქორწილის გვირგვინი ხომ მაინც ჯვარისწერაა!

დიდბატონი. ჯვარისწერაა, მაშ!

სახედარი. ჰოდა, დავიწყოთ ჯვარისწერა, ბატონო!

დიდბატონი. ასე ჩქარა? ჯერ პატარა...

სახედარი. მტრედებს ერთმანეთი სწყურიათ და დიდბატონის სიტყვას ელიან.

დიდბატონი. ჰოო... გამგებელო, გამგებელო, სად არის პატარძალი, მოგვავარე პატარძალი!

გამგებელი. ახლავე ბატონო, ახლავე!

გადის. გამგებელს შემოჰყავს პატარძალი – ნანო. ვიღაცა წამოიწყებს სიმღერას. „ვისია, ვისია, ქალი ლამაზი...“ გაბდოულ გამგებელს ამაყად მოჰყავს თავისი ქალწული. არწივს.

აი, სიძევ ბატონო, ქალწული ჩემი! ღმერთმა ისე შეგაბეროთ ერთმანეთს, როგორც მზე და მთვარე. იბედნიერეთ, ცხრა თვის თავზე – ბიჭიანობა. მტერი ნუ დაგილიოთ ღმერთმა და მუდამ ძლეულგეყოთ. მტრის ძლევა აკაუებს ვაჟკაცსა. მოყვარე მუდამ გახარებული ყოფილიყოს თქვენით.

შეძახილები:

- გაუმარჯოს!
- ცხრა შვილი!

- ცხრა ვაჟკაცი!
- ეგრე იყოს!

21.

- ამინ!
- გაუმარჯოს!
- ტუში!

სახედარი. მღვდელი, სად არის მღვდელი!

- ესეც ყანწს მიეტანა!
- შავი ღვინო ურჩევნია შავთვალება ქალსა!

დიდბატონი. დღეს ქორწილს ვთამაშობთ, ხალხნო, ქორწილს და სმენად იყავით.

სახედარი. მღვდელს უხმეთ, მღვდელსა!

გამგებელი. ყველანი ვთამაშობთ, ყველა ვზეიმობთ გიორგის დაბადებასა. დიდბატონით დაწყებული, აი, ამ რეგვენი მამუკათი დამთავრებული.

დიდბატონი. ჰო, აბა, დაიწყე მღვდელო! (მიმოიხედავს.) სად არის მღვდელი?

მწითური (შემოდის, მღვდლის ანაფორა აცვია). თამაშობაა თუ რამეა, ქორწილი ქორწილია, ხომ იცით, ჯვარისწერის მერე ქალ-ვაჟი ქალ-ვაჟი აღარ არი, ცოლ-ქმარია და ცისქვეშეთში სიკვდილ გარდა, არა-რა ძალას არ ძალუძს მათი გაყრა. სიკვდილი ღმერთმა გვაშოროს და მრავალ ჯვარისწერას კი შესწრებოდეთ! აბა, რომელია ნეფე?

არწივი წინ წადგება. ორივეს – ნანოსა და არწივს გვირგვინს დაადგამს თავს, ორივეს ანთებულ სანთელს აძლევს ხელში.

მაშ, ეგრე ხალხნო! ვიდრე უფალს შევთხოვდეთ ნეფე-პატარძლის დალოცვას, ჯვარისწერა დაგვილოცოს დიდბატონმა – იგია ამქვეყნიური უფალი ნეფე-პატარძლისა!

გამგებელი. შენა რა მართლა ქორწილივით უბნობ!

მწითური. ყანწი დიდბატონსა! (დიდბატონს ყანწს მიართმევენ).

დიდბატონი (ყანწს ჩამოართმევს, ჩააცქერდება როგორ გაავსესო, ერთობ სერიოზულად ირჯება).

ყმაწვილებო, ათი ვაჟი,

გაგჩენოდეთ, შეგრჩენოდეთ!

ღმერთო დიდებულო და მიქელ გაბრიელო!

გაიხარეთ ბულბულებო, შენ კი ამოვარდი, მეტრო!

საჩუქარი მოუმზადეთ თქვენსა დამლოცველსა.

(ეშმაკური ღიმილით) ესე იგი მენა!

გამგებელი (დაეჭვებული). ეგ თამაში რომ მართალს ძლიერ ჰგავს?!

დიდბატონი. გაგიმარჯოთ და გაცოცხლოთ,

მოგცეთ ადამის დღენია,

უწინ თქვენ მოგაკვლეულინოთ,

თქვენზედ მოსული მტერია.

თვალნი მშრალი მოგცეთ ღმერთმა,

გული – მხიარული.

ხელში ჭიანური, ფანდურით სიარული,

ბეღელში პური, ჯიბეში-- ფული,

მტერთან ფარი და ხმალი,
მოკეთესთან სალამი. (ყანწეს სვამს.

შეძახილები:

- მიდი, მიდი!
- მიაწექი, აუწი!

22.

- ცოტაც და კარგია!
- გაუმარჯოს!

დიდბატონი. ეგრე მტერი დაგეცალოთ!

მწითური. გიორგის ქორწილში, გიორგის ქორწილში ეგრე!

სახედარი. გაუმარჯოს!

გამგებელი (დაეჭვებული). ძლიერა ჰევს-მეთქი ნამდვილსა, მართლა ქორწილსა!

დათვი. ჩვენს დიდბატონს დღეგრძელობა!

ეჯიბი. მასპინძელ კარგა გვშასპინძლობს,
გულითა მზიარულითა,
მწვანე ქოშები გაცვითა
სუფრაზე სიარულითა,
წითელი ქვევრი მოხადა,
დაგვიზვდა სიყვარულითა!

მწითური (თითქმის წამლერებით). მონაო ღვთისა, გიგო შატბერიანთო, უწინარესად,
შენა ხარ ძე ადამისა! ჯვარისწერისას მოიხსენ ეგ ეშმაკეულის ნიღაბი და დაგვენახე
ადამის ძის სახითა.

გამგებელი. რათა, ჩვენ ხომ თამასი გვაქვს!

მწითური. ჯვარისწერას ღვთის დასტური სდევს. ნანო გამგებლიანთი ჯვარს იწერს
არა არწივზე, ადამიანის ძეზე! დაენახე მას ადამიანის სახითა.

გამგებელი. თამაში?!

მწითური. ყურადღება, ხალხნო, ყურადღება იყოს! მონა ღვთისა გიგო შატბერი-ანთი
ჯვარს იწერს ღვთის მხევალ ნანო გამგებლიანთზე. მოიხსენ, შვილო, ეგ ნიღაბი
ერთის წუთითა. (არწივი ფრთხილად იხსნის ნიღაბს.) ეგრე! მონაო ღვთი-
სავ, გიგო შატბერიანთო, ხარ თუ არა თანახმა დაისვა ცოლად მხევალი ღვთისა
ნანო გამგებლიანთი.

გამგებელი (აღშფოთებული). ეს ვინ არი, ხალხნო, ამ ყაჩალსა და ავაზაკს აქ რა
ესაქმება!

არწივი. თანახმა ვარ, მაშ, თანახმა ვარ, დააჩქარე!

გამგებელი. ჯვარისწერას გაჩვენებთ მე თქვენა, მუხანათნო და მართლა არა კაცებო,
აკი ვთამაშობთო? (ნანოს ხელს ჩავლებს. არწივს გამოსტაცებს.) ეს ხომ ნამდვილი
ჯვარისწერაა?

დიდბატონი. ერიჲაა, ერთი ამათ დამიზედეთ?!

გამგებელი. გვატყუებენ, დიდბატონო, გვატყუებენ!

დიდბატონი. რას მიქვიან გატყუებენ, ვინ გატყუებს, აქ მომგვარე ყველანი!

გამგებელი. ეგენი კი არ თამაშობენ, ნამდვილად იწერენ ჯვარსა.

დიდბატონი. უნდათ და დაიწერონ ჯვარი. განა ტყუილად დავლოცე.

გამგებელი. არა, დიდბატონო, მე ამას ქალს არ მივცემ.

დიდბატონი. რას უწუნებ?!

გამგებელი. ვისა — ხან კაცსა, ხანაც — ფერუმარილიანსა?

დიდბატონი. ხოო, მაგას, სწორს ამბობ!

მწითური. სცდები, გამგებელო! იცი, ეგ რა ბიჭია? გიგოსნაირი ბიჭი ამ მხარეში არ დადის.

გამგებელი. იჰ, იჰ... გასწით, გასწით, დამეკარგენით, ე მაგ ბიჭმა სამჯერ გამომიგზავნა ხალხი და ქალი არ მივეცი, არც მივცემ, მორჩა! (ნანოს სწადია ხელიდან დაუსხლტეს მამას.) ადგილზე დადექ, ადგილზე-მეთქი, ვის ვეუბნები!

დიდბატონი (წელზე ხელს მოისვამს). მაგ ბიჭმა მე რა მიყო და მაგ გოგოს როგორ აამებდა!

23.

არწივი. ქალი ჩემია, ჯვარი დამიწერია!

გამგებელი. ნახევრად! პურიკაკალი ხო არ არი, ნახევარი ბათმანი ჩამომიყარეთო, რო სთქა!

დიდბატონი. რას შერებით, არი თამაშობა თუ არა!

გამგებელი. არა, დიდბატონო, პირობა ხო ეგრე იყო — მაგათ თამაშობა უნდა გაემართნათ, თამაშის მაგიერ ცხოვრება დაიწყეს — მოტყუებით უნდოდათ ჩემს ქალთან ჯვარისწერა.

დიდბატონი. მაშ, არა?

გამგებელი. ტყუილ მოლაყბეს, კუჭგამხმარსა და ფერუმარილიანს მე ქალს არ ვაძლევ.

დიდბატონი. მაშ, ჩემს ბიჭთან წავიდე, ჩემს ვაჟკაცთან, ნეტა, ამასობაში რამდენჯერ ჩაიფას! (გადის.)

დათვი. ნუ მიგვატოვებ, დიდბატონო, გვიშველე, ქალი ჩვენია.

დიდბატონი. მე ამათი მეგობარი დიდბატონი ვარ, განა მოძალადე — არ უნდა და აბა, რა ვქნა...

არწივი. დარდი ნუ გექნება, ნანო, შენ მაინც ჩემი იქნები.

გამგებელი. რაო, რა ბრძანე!

არწივი. ეგ ქალი მაინც ჩემი იქნება, გამგებელო!

გამგებელი. ჰაიტ, შე გლახა! (ხალხს შესძახებს.) დასცხეთ ამათა, დასცხეთ ამ ფერუმარილიანებსა!

ქორწილში მოსული სოფლელნი არწივს, დათვს, სახედარს, მწითურს სარებით შეუტევნ. სცენაზე ნელ-ნელა ბნელდება. პროჟექტორი ავანსცენის ერთ კუთხეში მდგარ არწივს გაანათებს.

არწივი. ნეტავ ფრინველად მაქცია,
შენსკენ გადმოვყვე ნიავსა,
მოვიდე ყელს მოგეხვიო,
თავგაუშლელსა იასა.
საბნისა წვერი ავწიო,
პირსა გაკოცო მზიანსა,
არცა-რა შენ დაგიშავდეს,
არც მე ჩავვარდე ზიანსა.

მეორე კუთხეში ნაღველდარეული ნანო დგას. ნაღვლიანი მუსიკა კიდევ უფრო გამოჰკვეთს მის სულიერ მდგომარეობას.

ნანო.	სიყვარულმა და ნდომამა სიკვდილ არ იცის ქალისა. ნეტავი, ნისლად მაქცია, გადმოვივლიდი ქარითა, იქ დავიწყებდი წვიმასა, სადაც შენა ჰქნავ ხარითა.
დათვი.	მაღლაით მოვლენ ღრუბელნი, გორებზე დაეკიდება, ჯავრს ნუ მიუშვებო გულზედა, გულს ჟანგი მაეკიდება.

24.

ჯავრის მიმყოლსა ვაჟკაცსა
რა კარგი წაეკიდება,
ჯანი და ლონე წაუვა
გმირობა გაეკიდება,
ასადგომელად აიწევს
არგანზე დაეკიდება.

არწივი (უცებ). მტრედი, მტრედი მინდა!

დათვი. ჰო, კარგი ახლა, არ შვრება მამამისი და...

არწივი. მტრედი, მტრედი მინდა!

დათვი. რა მტრედი, კაცო, რის მტრედი!

არწივი. ნანოსთან რო უსტარი გავატანო.

დათვი (გახარებული). ეგრე გეთქვა, ფარსაგი რამე ვიფიქრე.

არწივი. მტრედი!

დათვი (გასძახის). ეპეე, მტრედებოო, მტრედებოო, მიჯნურს უწამლეთ, მიჯნუ-რთან
უსტარი წაულეთ, მტრედებოო... თქვენ ხომ გიყვართ კეთილი საქმე! აპა, მტრედიც
მოფრინდა.

არწივი. დაჯექ და წერე!

დათვი. ხო, მიდი აქა ვარ!

არწივი. უსტარი ნანოსთანა, გამგებლის ქალთანა, ეულად შთენილი გიგოსაგან. ამ
ორიოდ კვირის წინა მე დამეცა მეხი — ჩემი მტრედის მშობელმა არა და არ ინდომა
ჩვენი ერთად სიცოცხლე. ამით დამიხშო გზა სუნთქვისა. ამიტომ ვგდივარ ტყეში და
სიცოცხლის ბოლო წუთებს ველი. მხოლოდ შენ შეგიძლია განმიახლო სიცოცხლე —
მისცე გზა ჩემს სუნთქვას. როდის? ეგ შეგიძლია ჰქმნა ნააღდვომევ კვირას,
აღდგომის კვირის თავზე. ცაზე ვარსკვლავები რომ დასხდებან, იმ წუთიდან
წყაროსთან გელოდები. როგორც კი შენ წყაროსთან გაჩნდები, ჩემი სუნთქვა კვლავ
შესაძლო გახდება, რაც ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ორივ ერთად ვიცოცხლებთ
საუკუნოდ. ამინ! ვატან ამ წერილს მტრედსა მტრედზე უნაზესთან. გიგო — აპა-ჰა
ჯერაც მსუნთქავი. (მტრედს წერილს ფეხზე გამოაბამს.) გამგებლის ქალსა ნანოსა,
გამგებლის ქალსა ნანოსა! (მტრედი მიფრინავს).

ციხის ქონგურებს თეთრ სამოსში მორთული ქალი გამოეყოფა, ფრთხილად
მოდის, ციხის ნაშალზე ზოგან ფეხი უცდება ხოლმე და თავშეკავებას ცდილობს,

წონასწორობას იცავს. აქ, ქვევით სცენაზე კი არწივი დგას. დაძაბული მისჩერებია ფერდობზე ჩამომავალ ქალს.

არწივი (ციხეს). იდუმლის ციხევ მაღალო,
სასეიროზე დგახარო,
მოწყენილო გულსა გაუშლი,
მახარობელსა ჰგავხარო,
ქვეშ ქალნი მოგისხდებიან,
შენ, ჩრდილო, საით წახვალო?
— როგორ ვერ ხედავ, ყმაწვილო,
ულგაშაშლილო ახალო?
მეც ისე ვბრუნავ, როგორც შენ
ამ წუთისოფელს დახვალო.

სახედარი. ნეტავ, ვინ უნდა იყოს?

მწითური. ეგა ადამიანია და არა ფრინველი.

25.

დათვი. ნანოი, სხვა ვინ იქნება!

სახედარი. ნანოს ციხეზე რა უნდოდა!

არწივი (გარბის, რათა ნანოს შეეგებოს). ვგონებ, მართლა ნანოა! სადედოფლოდ მორთული ნანო!

მწითური. აბა, ჩქარა, ჩქარა ჯვარისწერა, თორემ მაგას შეიძლება მდევარიც მოსდევდეს.

სახედარი. აქა? ჯვარი აქ დავწეროთ?

დათვი. გვირგვინები! სად არი გვირგვინები, სანთლები. (იპოვა.) აჰა!

სახედარი. ჯვარისწერა აქა?

დათვი. ჯვარისწერას დარბაზები კი არა, გოგო და ბიჭი უნდა, ვირო, ძველი ციხის ფერდობზე, წყაროსთან ჯვარისწერას და ქეიფს რა სჯობს.

სახედარი. ახლა მაინც მოგვეყვანა მღვდელი.

მწითური. მღვდელიც ვიყავ, დიაკონიც, დალაქიც და დასტაქარიც. ახლა გიგოს რო დასჭირდა, ბერიკაც გავხდი!

ნანო და არწივი სცენაზე შემორბიან.

სახედარი. პატარძალს მივესალმები, ცხრა შვილი, აქედან სამი ქალი!

ნანო. მამაჩემს ყველა გზა გადაკეტილი აქვს. სოფლიდან მის დაუკითხავად ვერც ვერავინ გავა და ვერც ვერავინ შემოვა. გავალ ძველ ციხეს დავათვალიერებ-მეთქი! გადმოსასვლელი კი ვიცოდი.

სახედარი. ევ რა ეშმაკობა გიხმარია!

ნანო. სხვა გზივ აქ ვერ მოვიდოდი. დროს ნუღარ ვკარგავთ ჯვარი დაგვწერე, მამაო!

მწითური (სამჯერ დაუსტვენს და სცენაზე მხიარული შეძახილებით შემოდიან ეჯიბი, მდადე, მოშაირე გოგ-ბიჭები).

შეძახილები:

- ქორწილია, ქორწილი!
- ჩვენ მაინც ჩვენსაზე ვართ!
- აბა, მდადე, გაემზადე!

- ეჯიბო, გირჩევ სიფრთხილეს,
- ენას ნუ მისცემ ლალობას.

სახედარი. აბა, ყურთასმენა იყოს!

მწითური (გვირგვინს ჯერ ნანოს დაადგამს თავზე, მერე — არწივს). ახლავე. (აქ რეჟისორი თავად გადაწყვეტს რამდენად ფართოდ სურს ჯვარისწერის რიტუალის ჩვენება. მომდევნო პაწია სცენის გათამაშება კი აუცილებლად მიგვაჩნია). სად არის მდადე? აქა ხარ, დაიჭი სანთელი და გვერდით დაუდექ პატარძალსა. ეჯიბი? აბა, აპა, სანთელი! მხევალო ღვთისა, ნანო გამგებლიანთო, ხარ თუ არა თანახმა ცოლად გაჰყვე მონასა ღვთისას გიგო შატბერიანთისა.

ნანო. კი, კი, კი!

არწივი. მამაო, ერთხელ ხო გითხრა, ძალიან მინდა და მეჩქარება კიდეცო.

მწითური. მონაო ღვთისა, გიგო შატბერიანთო, ხარ თუ არა თანახმა ცოლად დაისვა მხევალი ღვთისა ნანო გამგებლიანთი.

არწივი. ვაარ, მააშ!

მწითური. გამომიცხადებიხართ ცოლად და ქმრად, იყავით ბედნიერი — ქრისტეს რჯულის შემნახავი.

26.

ხელს ჩაჰკიდებს, წინ მიუძღვის, გალობით უვლიან წრეს.

გზირის ხმა. აქა, აქ არიან, ხალხნო!

გამგებელი (შემორბის. ისმის ყიუინა, სროლის ხმა, მას მოსდევს გზირი). შეჩერდით, ფერუმარილიანო ავაზაკნო, ვის ქალსა სწერთ ჯვარს მამის უკითხავად, ვის ქალზე გამგებლობთ, ურჩნო! (გაშიშვლებული ხმლით ეკვეთება არწივს.) იძრე, ხმალი იძრე და ბრძოლაში გამოდი, მუხანათო! (არწივს რომ გვირგვინი ადგას თავზე, ხმლით გადაუგდებს.) აი, თქვენი გვირგვინი! მე არა მწამს თქვენი გვირგვინისა, ხმალი იძრე და თავი დაიცავი ფერუმარილიანო!

არწივი (კეტს დასწევდება). მე სიმამრს ხმლით არ დავუხვდები.

გამგებელი. შენი სიმამრი, აგე, ის ვირი იქნება!

გზირი (გამგებელს). დაჰკა, დაჰკა!

სახედარი. ეე... ფრთხილად, თორემ ტლინკი განა დამავიწყდა!

გამგებელი. შენა ტილიანი ვირგლა ხარ. (ხმლით უტევს, არწივი კი კეტით იცავს თავს.) გაიგე რა გითხარი?

არწივი. გაუგებარი რა არი. გავიგე და გულიც დამწყდა, მე ხომ ვიცი, ხვალ მაგ სიტყვების გამო ჩემს სიმამრს შერცხვება.

გამგებელი. ეგლა მაკლია!

ნანო. მამა!

გზირი. დაჰკა და დაამთავრე, რალას ეთამაშები!

გამგებელი (არწივს). თუ თავს პატივს სცემ, ხმალი იშიშვლე!

არწივი. რათა? ჩემი მოკვლის მსურველს ამითაც ვიგერიებ, შენი ვნება კი არ მწადია. სიმამრი ხარ ჩემი და ნანოს გული მოუკვდება.

გზირი. მდელოზე რომ მიმძინებოდა, ამ ამბავს სიზმარში ხომ ვნახავდი...

გამგებელი. როგორ მიბედავ! (ხმლით ძლიერ შეუტევს.) ემზადე, სიკვდილისათვის, საბრალოვ, (ნანო სწორედ ამ დროს მოიხსნის მანდილს და გამგებლისა და არწივს შორის ჩააგდებს, ორთაბრძოლა შეწყდება.) მაგითი რისი თქმა გინდა?

ნანო. ერთი მამა ზარ ჩემი, მეორე – ქმარი. მე ორივეს სიცოცხლე მჭირდება. გიგოი მიყვარს, მამა და სიცოცხლეს რად მიშლი? თავი მოვიკლა? იცოდე, თუ კვლავაც დამიშლი ამასთან ყოფნას, თავს არ ვიცოცხლებ, სიკვდილს დავაჩქარი ჩემსას და შენი ყანა-მინდვრების ბოლო პატრონი შენ იქნება!

გზირი (ტირის). ასეა რა! ეგრე როგორ იქნება, უყვარს და რა ქნას!

დათვი. გამგებელო ბატონო, თუმც ჯვარი დაუწერიათ, შენი კურთხევის გარეშე ცალ ფეხზე დგანან. რა ვქნათ, რა ვუყოთ ამ ყოფას. უყვარს შენს ქალს გიგოი, გიგოს კიდევ სიცოცხლეს ურჩევნია შენი ქალი. გზა დავუხშოთ? შეხე, იმ ღრუბელსა – დიდსა, ცხენზე ამხედრებულ კაცს რომ ჰგავს. შეხე, როგორ ესწრაფვის იმ პატია ღრუბლისაკენ.

გამგებელი (მზერა ცისკენ მიუპყრია). ჰო, ვხედავ, მერე შენ რა გინდა, ან მე რა ხელი მაქვს მაგ ღრუბელთან!

დათვი. დაშლი იმ ღრუბლების ერთმანეთისაკენ სწრაფვასა?

გამგებელი. აბა, ეგ როგორ, მე მაგათ რას დავაკლებ. ან რა ხელი მაქვს.

გზირი. დამეძინა, რა იქნებოდა, ერთი გემრიელად დამეძინა – სიზმრად ხომ ყველაფერს ვნახავდი!

დათვი. ესენიც იმ ღრუბლებივით არიან, ესენიც ღვთის გაჩენილებია და ისინიცა. იმას თუ აძლევ ნებას სიცოცხლისა, ამათ რისთვის უსწრაფვი. ამაში ხომ ღვთის ნებაა.

გამგებელი. ბერიკა როა – ფერუმარილიანი?

27.

დათვი. ეგეც ღვთის ნებაა, გამგებელო, ღვთის ნების გარეშე ბერიკაც ვერ იქნებოდა. იხარე და ახარე შენი შვილები!

დიდბატონი (შემორბის განრისხებული). ე, რა ამბავია აქა, რა მდევრები დაგიყენებია ქალისათვის, თათარი ხო არ არი! ძალლივით გამოსდგომიხარ შვილსა, საპატარძლოდ მორთულსა. შენა რა დროში ცხოვრობ, მითხარ ახლა რა დროა, რას გაჩუმებულხარ, ხმა ამოიღე!

გამგებელი. შენს დროში ვცხოვრობ, ახლა შენი დროა.

დიდბატონი. და გინდა ეგ დრო შემირცხვინო?! გინდა ხალხმა ისა თქვას, დიდბატონ გიორგის მამის დროშია, გამგებელნი მდევარს ადევნებდნენ შვილებსაო??!

გამგებელი. მაცალე, დიდბატონო, კარგად მოვიფიქრო!

დიდბატონი. შენ რა უნდა იფიქრო, შენ ფიქრს ვინა გთხოვს. ე მაგათ იფიქრეს ყველაფერი, შენ ახლა მიდი, ეგენი დალოცე და მერე რამდენიც გინდოდეს, იმდენი იფიქრე!

დათვი. დღეს დალოცე, თორემ ხვალ და ზეგ ბალლები რომ გაჩნდებიან, ჩოქვით მოგიწევს მისვლა და მაგათ შენთვის არ ეცლებათ.

სახედარი. დრო სადღა ექნებათ – იმ ბალლებსა კეთება ხო უნდა!

გამგებელი. ეგრე რადაო ვითომ, მურვანყრუობის დრო დადგა?

დათვი. ახლა რა, მურვანყრუობის დრო არი? მოყვარული ცოლ-ქმარი გინდა ერთმანეთს დააშორო.

გამგებელი. შენა რეებს ლაპარაკობ, რა დაშორება, რის დაშორება!

დათვი. მაშ, მიდი დალოცე!

გამგებელი. როგორ დავლოცო, ეგრე ცარიელი ხელითა? ოჯახი სავსე მაქვს, მარანში ღვინო არ მაკლია და ბეღელში-- პური!

დათვი. ყველაფერი აქა გვაქვს (გამგებელს) ყანწი! (გამგებელს ყანწის მიაწოდებენ).

გამგებელი. ეგ როგორა კაცო, ასე უცება, უფიქრალადა.

დიდბატონი. დალოცე-მეთქი, შენა ფიქრი რად გინდა, დალოცე.

გამგებელი (ყანწით ხელში). დამილოცნიხართ, ბედნიერი გყოთ ღმერთმა, ცხრა შვილი მოგცეთ, ცხრავე ქალი და ცხრავე აი, ეგრე გაპარულიყოს.

ნანო! თუ ცხრავეს ისევე ეყვარება, ამინ!

გამგებელი. სიძევ, გაგიმარჯოს. (სვამს.) თუ კაცი ხარ, ეგ ნიღაბი მოიშორე! თვალებში შემოგხდო. აბა, ცეკვა ქართული, გზა ნეფე-პატარძალსა!

იწყება ცეკვა. ნეფე-დედოფალი გატაცებით ცეკვავს. ერთხანს აცლიან, შემდეგ ყველა ერთად აცეკვდება, ყველა ცეკვავს – დიდბატონი თავისთვის, მარტოკა, დათვი და სახედარი, გამგებელი და გზირი, მოშაირენი, მდალე და უჯიბი ერთმანეთს ეცეკვებიან.

გამგებელი. ალავერდი დიდბატონთან, ყანწი მიართვით დიდბატონს, ყანწი!

დიდბატონი (ყანწს უვსებენ). დაგლოცავთ შვილებო, თქვენ ის მოიპოვეთ, რასაც არ გაძლევდნენ – მოიპოვეთ ბედნიერების უფლება. ამად მომწონხართ. ბედნიერება არც მოგშლოდეთ. შიოს დუქანი რო ედგა, ის ნაკვეთი გახსოვთ?

არწივი. გვახსოვს, მაშ?

დიდბატონი. აი, ის ნაკვეთი თქვენთვის საქორწინო მზითევად მომირთმევია, გაგიმარჯოთ! (ნეფე-დედოფალს ჰკოცნის, ყანწს სვამს).

შეძახილები:

- გაუმარჯოს!
- დიდბატონს გაუმარჯოს!

28.

– გიორგის ქორწილიც გვენახოს!

გამგებელი. მე შენა შვილი გაჩუქე, სიძევ ბატონო, მზითევზე კი ამას გეტყვი – ყოველი, რაც მაბადია, თქვენია.

გზირი. საბრალონი. ესე იგი არაფერი მაგათი არ ყოფილა. ეგეთი მზითევი სიზმრადაც არ მინახავს.

გამგებელი. მე სხვა შვილი არცა მყოლია. ყველაფერი რაც მაქვს, შენია! მხოლოდ ჩემს შემდეგ!

გზირი. მაგისი ის არის, რაც მაგის ხელთ არი. შენს სიკვდილს ელოდოს კაცი?!

არწივი. შენი ყველაზე დიდი განძი უკვე ჩემია.

უჯიბი. გვეყო, ბატონებო, გვეყო, მიგვყავს ქალი ვაჟიანთა! ლხინი იქ ნახეთ და პურისჭამა. აბა, გავარდი მახარობელო, ქალი მოგვყავს ლამაზი-თქო!

მახარობელი. მოვდივართ, მოგვიხარია,
მოგვყავს დედალი ხოხობი,
ლამაზი ქალი რა არი –
ლერწამა, ძუძუკოკობი
მაყრიონიც და დამხდურიც
სუყველას გაუხარია,
მოგვყავს დედალი ხოხობი,
მოვდივართ, მოგვიხარია!

მემუსიკენი გატაცებით უკრავენ.

- მიდი!
- კარგია!

გზირი (ყანწით ხელში). გზა, გზა დავულოცოთ სიძე-დედოფალს!

გამგებელი. სიძეო, ჩემო სიძეო,
მზის და ვარსკვლავის მგვანეო,
მზითვი ბევრი გაგატანე,
ეზო გადაგიფარეო,
დიდხანს ნუ დააგვიანებ,
შენი შენ წაიყვანეო.

ეჯიბი ანთებული სანთლით გაუძლვება სიძე-დედოფალს. სხვები უკან მიჰყვებიან. სიმღერით მისდევენ მაყრები. აპა, სცენას ერთი წრე თითქმის შემოუარეს.

ციხის გოდოლზე ცეცხლი ავარდება. ამ პირველ ნიშანს განგაშისა მეორე მოპყვება, მეორეს — მესამე. შორეულ პლანში რომ ციხეთა ქონგურები ჩანს, ყველგან ცეცხლი აინთება — ნიშანი განგაშისა. ციხეები ამით ერთმანეთს მტრის მოახლოებას აუწყებენ. ლამის ჩამოწოლილ სიბნელეს ციხეებზე დანთებული ცეცხლი ჰქვეთს.

- ცეცხლი, გოდოლზე ცეცხლი!
- შურის ციხეზეც ცეცხლი დაანთეს!
- სამების გოდოლზე ცეცხლი!

და ჩამოწოლილ მღელვარე სიჩუმეში ჭყვიასავით გავარდა ვიღაცის მიერ თითქმის ხმადაბლა ნათქვამი:

- ომია ხალხნო, თათარი შემოგვესია!

29.

- ომი დაიწყო!
- ბალღები მოარიდეთ!
- ომია, ომი!
- ვაი, შენს დედას, შვილო!

ნანო (შეძრწუნებული). ომი?!

გამგებელი (ქუდი მიწას დაახეთქა). ქორწილსაც არ გვაცლიან ძალლები!
დიდბატონი. შეჰყარეთ სოფელი, სოფელი შეჰყარეთ!

ყოველი მხრიდან ისმის შეძახილი:

- ქუდზე კაცი!
 - ომი გვაქვს, ქუდზე კაცი!
 - თათარი მოდის!
 - თათარი შემოგვესია.
 - ქუდზე კაცი!
 - შეიყარენით, ქართველნო!
- ნანო (გახევებულ არწივს ეხვევა). შენ? შენ რას იზამ, გიგო?
არწივი. თათარი მოდის, რა უნდა ვქნა!

ნანო. დღეს ხომ ქორწილი გვაქვს!

არწივი (ნალველით აღსავსე). ხონთქარმა ეგ არად ჩააგდო, მაინც წამოვიდა. (ნანოს ეალერსება.) ქორწილს ომის მერე ვიზამთ, ნანო, დღეს მტერი ლხინის უფლებას არ გვაძლევს.

გზირი. ახლადცოლშერთულს ომი არ ეხება!

სახედარი. შენა დღეს ქორწილი გაქვს, შენი ომი არ იქნება!

არწივი. ომი ყველას ეხება! წინაპართ რა ვუთხრა, ლოგინში ვკოტრიალობდი-მეთქი?

სახედარი. იმას ეტყვი ქორწილი მქონდა-თქო.

ნანო. მე სად გელოდო!

არწივი. ჩემს სახლში, შენ ცოლი ხარ ჩემი.

ნანო (მწარედ). ცოლი!

არწივი. ბალი, რომელიც ჯერ არ მიხილავს.

შეძახილები:

- ქუდზე კაცი!
- გამოდით, ქართველნო!
- თათარი მოდის!

არეე-მარეს შემოსეული მტრის ცხენთა ფლოქვების ცემის ხმა მოედება. ცხენები რიტმულად მორბიან, თანდათან უახლოვდებიან სოფელს. აქ კი ადამია-ნები იარაღს ისხამენ. დათვმა, არწივმა, სახედარმა – ყოველმა ნიღბიანმა, ნიღაბი მოიხსნა.

დათვი. დამთავრდა ლხინისა და ლალობის უამი, ისევ მოგვადაგა მტერი.

დიდბატონი. მუდამ ასე იყო – ეგენი ლიმილის უფლებასაც არ გვაძლევენ. ჩვენი დღე და მოსწრება საზღვარზე მცხოვრები ხალხის ბედით ვცხოვრობდით – მთელი საქართველო ერთი პატარა სასაზღვრო სოფელია, დღემუდამ რომ უთვალთვალებს მტერი.

გამგებელი. ჩვენი მონობა არ გამოდის, დიდბატონო, ამიტომ ერთი გზალა დაგვ-

30.

რჩა: ან ჩვენ უნდა შევაკვდეთ მამულის დასაცავად, ან ეგენი უნდა ამოვხოცოთ.

დიდბატონი. მტრის ძლევა სჯობია, ეგენი ვხოცოთ!

გზირი. კელაგაც კუდით ქვას ვასროლინებთ, გამგებელო, შენ დარღი ნუ გაქვს.

- სიკვდილი მტერს!
- გამარჯვება საქართველოს!
- მოისპოს თათარი!

დიდბატონი. აბა, ბიჭებო, ჩვენი გაქცევა საქართველოს წაქცევაა! ცხენოსნები აგერ არიან, ყურისძირში. ზეცას სიშავე გადაუფარა.

სახედარი (დიდბატონს).

წაგვიძეს, ბერო მინდიავ,
მუხლი მაიბი შვლისაო,
თან წაგვიყოლე სწორები,
ვისაც თავი აქვს ცდისაო!

არწივი (თან საბრძოლო იარაღს ისხამს).

სამი არ გაიწურთნუება;
მგელი, არწივი, კაი ყმა.
მგელი არ მაშლის მგლობასა,

კაი ყმა მამაცობასა,
არწივი – არწივობასა
მთის ყურეთ თამაშობასა.

დათვი (საომრად იკაზმება).

მაშინ კარგია კაი ყმა,
რა დილა-ბინდი დგებოდეს,
იცვამდეს გრილსა რკინასა,
„ომს ვიზამ“ იმუქრებოდეს.

მწითური. ურჯულო სარკინოზთ ჩვენი მამული საჯიჯგნად არ მივცეთ, პატრონი ჩვენი მიწისა ჩვენა ვართ, მხოლოდ ჩვენ!

ისმის ბრძოლის ხმები. ხმლების ჩახა-ჩუხი, გვესმის ადამიანთა შეძახილები.

არწივი. დრო გარბის, ყური მიდგეთ. მე ასეთი გეზი მაქვს ომის...
დიდბატონი. სმენად ვართ.

არწივი. ჩვენ საზღვრისპირად მცხოვრები ის ხალხი ვართ, მტერი რო დღემუდამ უთვალთვალებს. ვისაც მშვიდობა და დაუმარცხებლობა უნდა, ომისთვის უნდა ემზადოს. ჩვენც ვემზადებოდით. მაშ ეგრე, მტერი ციხეს ვერას დააკლებს. ამიტომ მხოლოდ ამ ხეობით შემოვა. სხვა გზა მას არა აქვს. აქა კი ხის იმოდენა ისრები გვაქვს ჩარჭობილი მიწაში, რომ ცხენიც და იქნება, მხედარიც კი წამოიცვას ზედა. მოდით აქა. აი, ხის მორების ბოლოებსა ხედავთ?

გზირი. ვხედავთ, მაშა!

დიდბატონი. ვხედავთ!

გამგებელი. ბოლოებსა ვხედავთ, თავებსა კი – ვერა.

არწივი. თავები პირწამახული ისრებია.

გზირი. ხის ისრები?!?

სახედარი. ეგრეა, მაგან ეგრე მაიგონა!

არწივი. მხოლოდ გული არ უნდა შედრკეს.

დიდბატონი. სადა ხარ, გამგებელო?!?

გამგებელი. აქა ვარ.

31.

დიდბატონი. აკი ფუჭსიტყვანი, ჭამა-სმით სოფლის ამკლებნი და ცუდი ზნისანი არიანო?!?

სახედარი. მაშ, როგორა! თუ ჩვენ ერთიმეორებე ცუდი არა ვთქვით, ისე როგორ იქნება?!?

გამგებელი. აბა, მე რა ვიცოდი, სხვა რამეს არა ვხედამდი. მშვიდობა გვქონდა.

დიდბატონი (არწივს). ახლა ის გვიბრძანე, ჩვენ რა უნდა ვქნათ?!

არწივი. თქვენა? ვიდრე მტერი ძალიან ახლოს არ მოვა, ეგრე უნდა იდგეთ, უხმოდა და გაუნძრევლად.

გამგებელი. აქა ვდგევართ და ფეხსაც არ მოვიცვლით.

ნანო (თოფიარალი აუსხამს). მეც აქა ვდგევარ.

არწივი. შენცა?

გამგებელი. შენ შინ წადი, შვილო, აქ რა გინდა!

ნანო. მე ხომ ვიცი, რომ მაგას გულით არ მეუბნები!

არწივი (ერთხანს უხმოდ შესცექრის ნანოს). აქ მოდი, გვერდით დამიდექ!

ნანო (არწივის გვერდით დადგება). აქა ვარ და ფეხსაც არ მოვიცვლი.

გამგებელი სინანულით გააყოლებს თვალს.

მდადე (ესეც თოფუ-იარაღასხმული შემოდის). მე? მე სად მიბრძანებ დგომასა.

ყველანი არწივს შესჩერიან, სად გაანაწილებსო.

არწივი (ადგილს ზომავს). ახლავ გეტყვი! (ყველას.) ვიდრე მტერი არ მოახლოვდება, ეს ხის ისრები ეგრე უნდა იყოს მიწაზე, ძალიან ახლოს რომ მოვლენ, აი, მაშინ ყველამ ერთად უნდა წამოსწიოთ, ბოლო მიწას დააბჯინეთ, პირი კი ცხენების გულებისაკენა.

გზირი. ჰო, რა წვეტიანი პირები აქვს, ვეჟო! ჩემი მტერი წამოეგო ზედა!

ცხენოსნები ახლოვდებიან, ისმის ცხენთა თქარა-თქური.

არწივი. მე დაგიძახებთ ისრები-მეთქი და ყველამ ერთად უნდა აღმართოთ. დამფრთხალი ცხენები ზედ წამოეგებიან, ჩვენ კი ცხენებიდან ჩამოვარდნილ მხედრებს უნდა მოვუღოთ ბოლო

მდადე. მე სად დავდგე არწივო, რომელ ისართან!

დიდბატონი.. განა, ლამაზ დიაცთ ნაკლები საშსახური გაუწევიათ მამულისათვის. შენა სადაც არ უნდა დადგე, ყველგან მტრის მახე იქნები. აქ დადექ, ჩემს გვერდით, თავს მოგაწონებ და ძალას მომცემ.

გადაძახილი. ჩამწკრივდით!

არწივი. მტერი ახლოვდება!

გამგებელი (ამოიოხრა). ახლოვდება, ახლოვდება!

დიდბატონი. თასგზის მოსულან და ამ მიწაშიც ჩამარხულან!

გამგებელი (სინანულით). ის კი მერჩია, არ მოსულიყო.

არწივი. როგორც კი ცხენები ისრებს წამოეცმევიან, გადმოგდებულ მხედრებს უნდა მივცვივდეთ.

ნანო. და ისე ვხოცოთ, როგორც ცოფიანი ძალლები, რადგან სხვისი მიწისაკენ უჭირავთ თვალი.

გამგებელი. იმ ცხენებს რო კიდევ ცხენები მოსდევენ?

32.

არწივი. იმათ მხედრებსაც ჩვენ უნდა მოვუღოთ ბოლო. სხვა ჩვენ არავინ გვიშველის. აბა, მოდიან!

ნანო. მამი, მე გიგოსთან მინდა.

გამგებელი. მიდი, შვილო, მაგასთან მიდი, ერთად გამყოფოთ ღმერთმა!

ნანო (გიგოს). აი შენთან მოვედი!

გამგებელი. ღმერთო, შვილ-სიძე მიცოცხლე!

მდადე. ღმერთო, შვილები კვლავ მანახვე!

დიდბატონი. ჰა, მოდით, უღმერთოებო, სიკვდილისაკენ მოგიხარიათ.

ცხენების თქარა-თქური ახლოვდება, ლამის სცენაზე შემოიჭრან ცხენები.

არწივი. აბა, მოემზადენით, ქართველნო, მოვიდა მტერი! (პაუზა, რომელსაც ცხენების თქარა-თქური ავსებს) ისრები, ასწიეთ ისრები და დავცხოთ ამ ჭილიანებსა!

სცენას სიბრძლე მოიცავს. შუქის სვეტები ისრებივით აღიმართება — ისინი, მართლაც, ქმნიან იარაღის შთაბეჭდილებას. სიბრძლეში გველის სისინივით გაისმის: მოღალატე. მაქეთ ნუ წახვალთ, მეგობრებო, საქართველოს ეგრე, პირდაპირ ომში ვერ დაამარცხებთ, მანდ ისრებია, მანდ თქვენი სიკვდილია. ქართველთა ძლევა ამ გზით შეიძლება, მხოლოდ ამ გზით!

ისმის დამფრთხალ ცხენთა ჭიხვინი, ამას მოჰყვება ხმლების ხრჩიალი. ვხედავთ როგორ ცვივა ფოლადს ცეცხლი. ადამიანთა შეძახილები:

- ვაიმე, დედა!
- გოჩა, ბიჭო!
- დაღამდი, წუთისოფელო?
- ჰაი, შაითან!
- მაშ, რას მერჩოდი, თათარო!
- დონდუზ, დონდუზ!

მოღალატე. აქეთ, ჩვენო მხსნელნო, აქეთ, ვინც იქით წავიდა, ქართველთ სიკვდილი შეაგებეს. ქართველთა ძლევა აქ არის, აქეთ!

ამის პარალელურად სცენის კუთხეში ქალი:

ვაჟკაცსა გულად მამაცსა,
სიკვდილი ძილი ჰერნია,
შინ მოტირალის მოსვლაი!
თავის ქორწილი ჰერნია;
სამარისაკენ წაღება
მას თავის სახლი ჰერნია.
შავსა კუბოში ჩაწვენა,
თავის ოთახი ჰერნია.
ჭია-ღუების მოხვევა
თავის წვრილ-შვილი ჰერნია;
ყელზე გველების დახვევა
ცოლის მკლავები ჰერნია.

ნანო (ავანსცენაზე გამოდის). გიგო, მიშველე ბიჭო, მამკლეს ოხრებმა!

არწივი (ნანოს მოსდევს). ნანო!

ნანო. მივდივარ, გიგო, მაგრამ განა გომეწარში ქმრის საშოვნელად.

არწივი (ხელში აიტაცებს). მე დავინახე, როგორ წამოაცვი ცხენკაცი ისარს.

არსადაც არ გაგიშვებ.

ნანო. წუთისოფელო ტიალო, მე გიგოსთან ჩახვევა მეწადა და არა სიკვდილთან!

დამსვი, გიგო, მიწაზე დამაწვინე.

33.

არწივი (გულში იკრავს). არა-მეთქი, აი, ხომ ხედავ, ლამის სულ მოვსპეთ.

ნანო (უღონოდ). მიწაზე დამაწვინე, გიგო და სანამ პირში სული მიდგას, მაკოცე.

შენი კოცნით დავიწყო გზა სულეთისა. (არწივი მიწაზე დააწვენს ნანოს, კოცნის).

ახლა კი წადი, მე აქ დაგელოდები...

არწივი. მტერი მოისრა, არ მიგატოვებ!

ნანო. ჯერ მამული და მერე მე, გიგო, ჯერ მამული და მერე — მე. კვლავაც ბევრნი არიან! წითელხალათიანს არ შეარჩინო სული, იმან ჩამკრა ფერდში ხანჯალი.

არწივი. ნანო! (ეხვევა).

ნანო. წადი, მე აქა ვარ, ვიდრე არ მოხვალ, სულეთს არ წავალ.

არწივი. წითელპერანგიანსო, ამბობ?

ნანო. წითელპერანგიანსა და წვეროსანს.

არწივი. ახლავ აქ გავჩნდები. (გარბის.)

შუქი სცენაზე. ვხედავ პიესის პერსონაჟებს. ზოგი მათგანი უკვე განგმირულია, ზოგი სიცოცხლეს ემშვიდობება.

დიდბატონი (ხმალი მიწაში ჩაურჭვია და მას ეჭიდება, რომ არ წაიქცეს). ჰა, ბერიკებო, მითხარით რამე ქართული! (სულ ორიოდ მუსიკალური ფრაზა ბერიკების პირველი შემოსვლის სიმღერიდან). თქვენ აგაშენოთ ღმერთმა – გიორგის ქორწილი ხომ მაჩვენეთ უკვე...

გზირი (თავი წამოსწია). გამგებელო, სად არის მტერი, თათრები სად არიან?

გამგებელი (თავიც ვერ წამოსწია). აღარ არი მტერი, მოისპო თათარი.

გზირი. ამიტომაც მეიოლება სიკვდილი?

გამგებელი. მაინც ის სჯობდა, შვილიშვილი მენახა. ნანო, ხომ ბედნიერი ხარ, შვილო! (პასუხი რომ ვერ მიიღო.) ნანო? ნა-ნოო, ნა...

დედა. გიგო, გიგო, სადა ხარ, შვილო... მტერი აღარ არი, მტერი მოისპო, შენ კი ვერა გხედავ.

გიგო (შემოდის, ნელ-ნელა, მძიმედ მოიწევს წინ, სისხლისაგან იცლება და უჭირს. ეს არა მარტო მოძრაობაში, ხმაშიც ეტყობა). ლელვის ხე რომ წამოქცა, ნეტავ, დედავ რაო?!

დედა. შვილო, შენი ტანი არი, ვაჲ, შენ დედასაო!

გიგო. იმას ტოტები ემტვრევა, ნეტავ, დედავ რაო?!

დედა. შვილო, შენი მკლავებია, ვაჲ, შენს დედასაო.

გიგო. ვაზს რომ ფურცლები სცვიოდა, ნეტავ დედავ, რაო?

დედა. შვილო, შენი ქოჩორია, ვაჲ, შენს დედასაო.

გიგო. ლურჯი წყალი მოდიოდა...

დედა. ის ხომ შენი ცრემლი არი...

გიგო. თან კიდობანი მოჰქონდა, ნეტავ, დედავ, რაო?

დედა (პაუზის შემდეგ). შვილო, შენი კუბო არის, ვაჲ, შენს დედასაო.

გიგო. ეზოში რომ ძროხა ბლავის, ნეტავ, დედავ, რაო?

დედა. შვილო, დედაშენი არის, ვაჲ, შენს დედასაო.

გიგო. ტყეში ირემი ყვიროდა, ნეტავ, დედავ...

დედა. შვილო, მამაშენი არის, ვაჲ, შენს დედასაო...

გიგო. კაცები რომ მეხვევიან, ნეტავ, დედავ, რაო.

დედა. შვილო, მაყრები არიან, ვააჲ, შენს დედასაო.

გიგო. ერთი ფლატე ჩანგრეულა, ნეტავ, დედავ რაო?

დედა. შვილო შენი სამარეა, ვაჲ, შენს დედასაო. (გადის.)

დათვი. ბიჭო, გიგო, ადრე წასული ჩვენი ბიჭები მეგებებიან წინ. აგე ალექსა, აგე უჩა, გიორგი, შამშე, ე რა ლამაზები ხართ, ბიჭებო!

34.

გამგებელი. მე კიდევ ჩემგან დახოცილ თათრებსა ვხედავ... გორა-გორად აწყვიან.

არწივი. მოდით, ერთად შევიკრათ, ერთად ვიყოთ. სულეთს ერთად შევიდეთ.

დიდბატონი. ჰო, ერთადა, ერთადა!

არწივი (ნანოს). სადა ხარ, ნანო, თვალთ მიბნელდება.

დათვი. ერთად, კვლავაც ერთად შევიკრათ.

არწივი (ნანოს ხელს მოხვევს, წამოაყენებს). ერთად ნანო, კვლავაც ერთად.

ნანო. მაკოცე, გიგო, თუ ერთადა ვართ, მაკოცე.

ერთმანეთთან მიღოდებიან, ერთმანეთის გვერდით დადგებიან ბერიკები, გამგებელი, მდადე, ნანო, დიდბატონი, გზირი – ერთმანეთს ზურგით ეყრდნობიან, უფრო მხნედ იგრძნობენ თავს და ერთად წამოიწყებენ მხნე, ვაჟკაცურ ქართულ სიმღერას. სიმღერის განმავლობაში თითქოს ძალაც ემატებათ, უფრო მყარად დგებიან ფეხზე. უფრო ძლიერად, მაგრამ ეს ძალა სიმღერაში მეტად ჩანს, ვიდრე მათს ფიზიკურ არსებობაში.

ეჯიბი. ეგა ყოფილა ჩვენი ძალაცა და სისუსტეც. ცალ-ცალკე მყოფნი, ერთადა ვპვდებით და ასე სიკვდილით ვაცოცხლებთ ქვეყანას.

დიდბატონი. მთავარი მაინც მამულია, ქართველნო, მამული ცოცხლობს, მამული მხნედ არის, ჩვენც ერთად ვდგევართ, ერთადა ვართ, ცოცხალნი ვართ, რომ კვლავაც ვეპვეთოთ მტერსა.

სიმღერა ძლიერდება, ფარდა იხურება.

